

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2010, № 8

ადმინისტრაციული  
პროცესი

1. საჩივრის დაუშვებლობა
2. სარჩელის დასაშვებობა
3. შეგებებული სარჩელის დასაშვებობა
4. საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა
5. კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე
6. ნაწილობრივი დასაშვებობა

# 1. საჩივრის დაუმუშებლობა

## განჩინება

#ბს-502-473 (კ-09)

12 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგამე

**სარჩელის საგანი:** დღგ-ს ჩათვლის აღდგენა და მასზე დარიცხული საურავის გაუქმება

### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 თებერვალს ი/მ "ვ. თ-ანმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის -ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 13 თებერვალს მას ჩაჰბარდა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 12 თებერვლის #07/872 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც უარი ეთქვა უკანონოდ გაუქმებული დღგ-ს ჩათვლების აღდგენაზე. ჩათვლების გაუქმებამ გამოიწვია დღგ-ში ნარჩენი დავალიანების წარმოქმნა, რომლის ძირითადმა თანხამ შეადგინა 388162 ლარი, რაზედაც გავრცელდა საურავი. მოსარჩელე დღგ-ს ჩათვლების გაუქმებასა და მასზე საურავის დარიცხვას არ დაეთანხმა.

მოსარჩელის მტკიცებით, 2003 წელს სერია აა-70, #074573, #071409, #074599, #074610, #074682, #074624, #071401, #054472, #054458, #058019, #067493, #067453, #068556, #068572, #068578, #067498, #067516, #067599, #068530, #062177, #067428, #067389, #067360, #067374, #068701, #068781, #068634, #071382, #071344, #071310, #071262, #068780, #068610, #068539, #076508, #074761, #081067, #081009, #078351, #051980, #048812, #051979, #044433, #042853, #081276, #079003, #079034, #079100, #079114, #079113, #079206, #079272, #082152, #082210, #080250, #080257, #082257, #082268, #080211, #084227, #084271, #084330, #081220, #081169, #081098, #078282, #076717, #056400, #056421, #056446, #056375, #056358, #056308, #055524, #055546, #055545, #056325, #055526, #053022, #053003, #053004, #056430, #052781, #052881, #051923, #052853, #052937, #052854, #078402, #074750 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "ლ-საგან" (ს/ნ 245432535) შეიძინა საქონელი. 2002 წელს მოსარჩელემ სერია აა-70, #048148, #037864, #043273, #047290, #053714, #053686, #053688, #053634, #053666, #053583, #053584, #053588, #053558 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "ბ-საგან" (ს/ნ 245392089) შეიძინა საქონელი. 2003 წელს მოსარჩელემ სერია აა-70, #058411, #0710103, #066638, #066637, #069269, #069230, #069254, #069271, #050104, #050159, #042539, #045125, #078118, #078119, #079719, #082401, #082402, #082890, #080332, #082909, #082922, #084738, #084763, #058407, #045211 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "ბ.ს.ს.ბ-საგან" (ს/ნ 245422886) შეიძინა საქონელი. 2003 წელს მოსარჩელემ სერია აა-68, #015125, #011690, #011573, #011654, #014654, #014207, #014220, #014228, #014209, #014215, #014198, #014264, #014259, #014245, #015169, #015185, #014240, #016142, #016454, #016224, #017345, #017330, #017278, #017294, #017928, #017847, #017853, #017865, #019399, #019226, #019261, #019297, #018102, #016893, #015894, #016917, #017214, #017365, #011350, #011321, #011533, #011543, #011577, #011582, #011594, #011344, #011332, #011334 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "ა-ი-21-საგან" (ს/ნ 248386018) შეიძინა საქონელი.

მოსარჩელის განმარტებით, 2003 წელს სერია აა-68, #019865 და #019882 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "ლ.-ჯ-საგან" (ს/ნ 248387954) შეიძინა საქონელი. 2003 წელს მოსარჩელემ სერია აა-69, #003981, #003996, #003597, #003546, #003530, #003997 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, შპს "ჯ-საგან" (ს/ნ 246954915) შეიძინა საქონელი. 2002 წელს მოსარჩელემ სერია აა-68, #013443 და #010415 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "მ-საგან" (ს/ნ 248387776) შეიძინა საქონელი. 2003 წელს მოსარჩელემ სერია აა-67, #017693, #016121, #020732, #019526, #021103, #019650, #019626 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "ქ.-ჯ-საგან" (ს/ნ



ლემ სერია აა-37, #006447, სერია აა-99, #191155 და სერია აა-99, #0107220 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით სხვადასხვა მეწარმეებისაგან შეიძინა საქონელი.

მოსარჩელის მტკიცებით, როგორც ი/მ "ვ. თ-ანის", ასევე ი/მ "ს. დ-ძის", ი/მ "რ. ბ-ძის", ი/მ "თ. ბ-ძის", ი/მ "ი. შ-ძის", ი/მ "გ. ბ-ძის", ი/მ "ა. ძ-ძის", ი/მ "ჯ. ა-ძის", ი/მ "ა. მ-ძის", ი/მ "რ. ჩ-ძის", ი/მ "ე. კ-ძის", ი/მ "გ. დ-ძის", ი/მ "ლ. ტ-ძის", ი/მ "ზ. ქ-შვილის", ი/მ "შ. დ-ძის", ი/მ "ხ. კ-ძის", ი/მ "დ. ა-ძის", ი/მ "ი. ბ-ძის", შპს "ლ-ს", შპს "ბ-ს", შპს "ბ.ს.ს.ბ-ის", შპს "ა-ი-21-ის", შპს "ლ.-ჯ-იას", შპს "ჯ-ას", შპს "მ-ის", შპს "ქ.-ჯ-იას", შპს "ა-იას", შპს "ფ.-ს-ის", შპს "ო-სა" და შპს "ფ-ის" მიერ შესრულებულ იქნა 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები, რაც დასტურდებოდა სარჩელზე თანდართული ცნობებით. განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შესაბამისად, მომსახურე საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ იქნა დეკლარაციები და განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება. შესრულებული იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997 წლის რედაქცია), როგორც 114-ე, ასევე 115-ე მუხლების მოთხოვნები და არ არსებობდა მიღებული ჩათვლების გაუქმების არავითარი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 12 თებერვლის #07/872 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, გაუქმებული ჩათვლების აღდგენა და მასზე რიცხული საურავების ჩამოწერა შემდეგ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე: სერია აა-70, #074573, თანხით -1743 ლარი, #071409, თანხით -1640 ლარი, #074599, თანხით -1690 ლარი, #074610, თანხით -1660 ლარი, #074682, თანხით -1660 ლარი, #074624, თანხით -1660 ლარი, #071401, თანხით -2460 ლარი, #054472, თანხით -1170 ლარი, #054458, თანხით -780 ლარი, #058019, თანხით -1032 ლარი, #067493, თანხით -1680 ლარი, #067453, თანხით -1680 ლარი, #068556, თანხით -1680 ლარი, #068572, თანხით -602 ლარი, #068578, თანხით -1720 ლარი, #067498, თანხით -1032 ლარი, #067516, თანხით -1680 ლარი, #067599, თანხით -1848 ლარი, #068530, თანხით -1028 ლარი, #062177, თანხით -1782 ლარი, #067428, თანხით -1028 ლარი, #067389, თანხით -928 ლარი, #067360, თანხით -1848 ლარი, #067374, თანხით -1872 ლარი, #068701, თანხით -1260 ლარი, #068681, თანხით -420 ლარი, #068634, თანხით -420 ლარი, #071382, თანხით -1640 ლარი, #071344, თანხით -1680 ლარი, #071310, თანხით -1680 ლარი, #071262, თანხით -588 ლარი, #068780, თანხით -1680 ლარი, #06810, თანხით -1680 ლარი, #068539, თანხით -1848 ლარი, #076508, თანხით -1826 ლარი, #074761, თანხით -1720 ლარი, #081067, თანხით -1892 ლარი, #081009, თანხით -1892 ლარი, #078351, თანხით -1892 ლარი, #051980, თანხით -2068 ლარი, #048812, თანხით -1200 ლარი, #051979, თანხით -2068 ლარი, #044433, თანხით -820 ლარი, #042853, თანხით -540 ლარი, #081276, თანხით -1892 ლარი, #079003, თანხით -1892 ლარი, #079034, თანხით -1804 ლარი, #079100, თანხით -2310 ლარი, #079114, თანხით -1892 ლარი, #079113, თანხით -2752 ლარი, #079206, თანხით -1672 ლარი, #079272, თანხით -2752 ლარი, #082152, თანხით -1892 ლარი, #082210, თანხით -1672 ლარი, #080250, თანხით -1804 ლარი, #080257, თანხით -860 ლარი, #082257, თანხით -1716 ლარი, #082268, თანხით -1892 ლარი, #080211, თანხით -1848 ლარი, #084227, თანხით -1176 ლარი, #084271, თანხით -1826 ლარი, #084330, თანხით -1620 ლარი, #081220, თანხით -1892 ლარი, #081169, თანხით -1720 ლარი, #081098, თანხით -1826 ლარი, #078282, თანხით -1804 ლარი, #076717, თანხით -1852 ლარი, #056400, თანხით -860 ლარი, #056421, თანხით -860 ლარი, #056446, თანხით -860 ლარი, #056375, თანხით -1032 ლარი, #056358, თანხით -960 ლარი, #056308, თანხით -800 ლარი, #055524, თანხით -800 ლარი, #055546, თანხით -1892 ლარი, #055545, თანხით -1892 ლარი, #056325, თანხით -1720 ლარი, #055326, თანხით -1032 ლარი, #053022, თანხით -1850 ლარი, #053003, თანხით -1892 ლარი, #053004, თანხით -1892 ლარი, #056430, თანხით -1892 ლარი, #052781, თანხით -800 ლარი, #052881, თანხით -800 ლარი, #051923, თანხით -1720 ლარი, #052853, თანხით -1720 ლარი, #052937, თანხით -1720 ლარი, #052854, თანხით -1720 ლარი, #074750, თანხით -1660 ლარი, #078402, თანხით -2050 ლარი, #048148, თანხით -1680 ლარი, #037864, თანხით -2160 ლარი, #043273, თანხით -1080 ლარი, #047290, თანხით -1080 ლარი, #053714, თანხით -1848 ლარი, #053686, თანხით -1680 ლარი, #053688, თანხით -1680 ლარი, #053634, თანხით -1680 ლარი, #053666, თანხით -1680 ლარი, #053583, თანხით -1680 ლარი, #053584, თანხით -1680 ლარი, #053588, თანხით -1680 ლარი, #053558, თანხით -1680 ლარი, #058411, თანხით -1870 ლარი, #0710103, თანხით -1162 ლარი, #066638, თანხით -1870 ლარი, #066637, თანხით -1826 ლარი, #069269, თანხით -1870 ლარი, #069230, თანხით -830 ლარი, #069254, თანხით -850 ლარი, #069271, თანხით -1870 ლარი, #050104,

თანხით -1604 ლარი, #050159, თანხით -802 ლარი, #042539, თანხით -1844 ლარი, #045125, თანხით -1844 ლარი, #078118, თანხით -1870 ლარი, #078119, თანხით -2720 ლარი, #079719, თანხით -2310 ლარი, #082401, თანხით -2310 ლარი, #082402, თანხით -1694 ლარი, #082890, თანხით -1694 ლარი, #080332, თანხით -1694 ლარი, #082909, თანხით -1020 ლარი, #082922, თანხით -760 ლარი, #084738, თანხით -1892 ლარი, #084763, თანხით -1826 ლარი, #058407, თანხით -1870 ლარი, #045211, თანხით -1844 ლარი, სერია აა-68, #015125, თანხით -1821,6 ლარი, #011690, თანხით -1290 ლარი, #011573, თანხით -860 ლარი, #011654, თანხით -860 ლარი, #014207, თანხით -1892 ლარი, #014220, თანხით -860 ლარი, #014228, თანხით -1290 ლარი, #014209, თანხით -860 ლარი, #014215, თანხით -430 ლარი, #014198, თანხით -860 ლარი, #014264, თანხით -602 ლარი, #014259, თანხით -1892 ლარი, #014245, თანხით -645 ლარი, #015169, თანხით -1260 ლარი, #015185, თანხით -1778,40 ლარი, #014240, თანხით -1462 ლარი, #016142, თანხით -1821,60 ლარი, #016454, თანხით -1804 ლარი, #016224, თანხით -1656 ლარი, #017345, თანხით -1804 ლარი, #017330, თანხით -1804 ლარი, #017278, თანხით -1804 ლარი, #017294, თანხით -2624 ლარი, #017928, თანხით -1640 ლარი, #017847, თანხით -1804 ლარი, #017853, თანხით -1312 ლარი, #017865, თანხით -1804 ლარი, #019399, თანხით -1189 ლარი, #019226, თანხით -1640 ლარი, #019261, თანხით -820 ლარი, #019297, თანხით -1760 ლარი, #018102, თანხით -1760 ლარი, #016893, თანხით -1804 ლარი, #016894, თანხით -1804 ლარი, #016917, თანხით -1804 ლარი, #017214, თანხით -1804 ლარი, #017365, თანხით -1435 ლარი, #011350, თანხით -1032 ლარი, #011321, თანხით -1032 ლარი, #011533, თანხით -1032 ლარი, #011543, თანხით -1892 ლარი, #011577, თანხით -1032 ლარი, #011582, თანხით -1720 ლარი, #011594, თანხით -1290 ლარი, #011344, თანხით -860 ლარი, #011332, თანხით -1892 ლარი, #011334, თანხით -860 ლარი, #019865, თანხით -1861,20 ლარი, #019882, თანხით -1102,4 ლარი, სერია აა-69, #003981, თანხით -1162 ლარი, #003996, თანხით -1804 ლარი, #003597, თანხით -1782 ლარი, #003546, თანხით -1826 ლარი, #003530, თანხით -1245 ლარი, #003997, თანხით -1804 ლარი, სერია აა-68, #013443, თანხით -162 ლარი, #010415, თანხით -1236 ლარი, სერია აა-67, #017693, თანხით -211,60 ლარი, #016121, თანხით -172 ლარი, #020732, თანხით -134,65 ლარი, #019526, თანხით -73,50 ლარი, #021103, თანხით -188 ლარი, #019650, თანხით -79,80 ლარი, #019626, თანხით -73,50 ლარი, სერია აა-70, #077929, თანხით -241,28 ლარი, #074445, თანხით -346,77 ლარი, #077939, თანხით -113,79 ლარი, #077956, თანხით -314 ლარი, #082301, თანხით -154,22 ლარი, #082314, თანხით -166,93 ლარი, #082340, თანხით -336,70 ლარი, #074466, თანხით -237,06 ლარი, #026645, თანხით -1558 ლარი, სერია აა-71, #000825, თანხით -506,95 ლარი, #000854, თანხით -414,36 ლარი, #000869, თანხით -865,90 ლარი, #000924, თანხით -180,96 ლარი, #000702, თანხით -297,84 ლარი, სერია აა-70, #072252, თანხით -166,08 ლარი, #071572, თანხით -112,20 ლარი, #067672, თანხით -167,70 ლარი, #070449, თანხით -209,40 ლარი, #075345, თანხით -209,28 ლარი, #081420, თანხით -238,40 ლარი, #079311, თანხით -112,40 ლარი, #077791, თანხით -349,60 ლარი, #082633, თანხით -463,40 ლარი, #079338, თანხით -236 ლარი, #084723, თანხით -190,72 ლარი, #085156, თანხით -67,66 ლარი, #085890, თანხით -411 ლარი, #077432, თანხით -121,20 ლარი, #066857, თანხით -159,60 ლარი, სერია აა-68, #000363, თანხით -864,50 ლარი, სერია აა-67, #018536, თანხით -204 ლარი, #018351, თანხით -2020,20 ლარი, #018363, თანხით -162,48 ლარი, #017500, თანხით -112 ლარი, #017703, თანხით -160 ლარი, #017493, თანხით -576 ლარი, #016776, თანხით -563 ლარი, #017712, თანხით -202 ლარი, #019069, თანხით -264,76 ლარი, #020259, თანხით -113,50 ლარი, #020485, თანხით -140 ლარი, #019968, თანხით -356,09 ლარი, #020583, თანხით -163,88 ლარი, #021209, თანხით -293,80 ლარი, #021860, თანხით -168,80 ლარი, #021280, თანხით -168,80 ლარი, სერია აა-66, #002241, თანხით -398 ლარი, #002416, თანხით -398 ლარი, #003201, თანხით -1760 ლარი, #003674, თანხით -1870 ლარი, #003666, თანხით -1870 ლარი, #004524, თანხით -1848 ლარი, #002423, თანხით -792 ლარი, #002418, თანხით -1588 ლარი, სერია აა-66, #004085, თანხით -1700 ლარი, #004097, თანხით -1700 ლარი, #003939, თანხით -595 ლარი, #004103, თანხით -3400 ლარი, #004102, თანხით -1700 ლარი, #003944, თანხით -1700 ლარი, #003929, თანხით -425 ლარი, #003943, თანხით -3400 ლარი, #004643, თანხით -1680 ლარი, #004649, თანხით -1700 ლარი, #004648, თანხით -1700 ლარი, #004761, თანხით -1680 ლარი, #004846, თანხით -1600 ლარი, #004849, თანხით -1600 ლარი, #004546, თანხით -1700 ლარი, #003948, თანხით -1700 ლარი, #004760, თანხით -1680 ლარი, #004990, თანხით -560 ლარი, #004987, თანხით -

1700 ლარი, #005028, თანხით -1600 ლარი, #005049, თანხით -1600 ლარი, #005105, თანხით -1600 ლარი, #005176, თანხით -1600 ლარი, სერია აა-67, #015779, თანხით -210 ლარი, #016904, თანხით -160 ლარი, #008081, თანხით -55,40 ლარი, #012435, თანხით -840 ლარი, #017283, თანხით -563,50 ლარი, #021001, თანხით -99,08 ლარი, სერია აა-68, #015974, თანხით -283,60 ლარი, #013952, თანხით -380 ლარი, #017016, თანხით -242,70 ლარი, სერია აა-70, #067730, თანხით -236,16 ლარი, #059975, თანხით -324 ლარი, #075381, თანხით -32,90 ლარი, #067678, თანხით -60,80 ლარი, სერია აა-67, #015716, თანხით -91 ლარი, სერია აა-66, #002230, თანხით -1928 ლარი, #002902, თანხით -794 ლარი, #002905, თანხით -794 ლარი, #002719, თანხით -802 ლარი, #002706, თანხით -1580 ლარი, #002587, თანხით -770 ლარი, #001524, თანხით -3224 ლარი, #002409, თანხით -1924 ლარი, #002403, თანხით -1928 ლარი, #002406, თანხით -964 ლარი, #002231, თანხით -1928 ლარი, #001833, თანხით -1209 ლარი, #001997, თანხით -804 ლარი, #002105, თანხით -1604 ლარი, #001840, თანხით -322,40 ლარი, #002589, თანხით -1580 ლარი, #003042, თანხით -806 ლარი, #001518, თანხით -1840 ლარი, #001513, თანხით -1847,84 ლარი, #053486, თანხით -1492 ლარი, სერია აა-37, #006447, თანხით -2336,4 ლარი, სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი და სერია აა-99, #0107220, თანხით -2638,4 ლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 თებერვლის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი, შპს "ლ-ი", შპს "ბ-ი", შპს "ბ.ს.ს.ბ.", შპს "ა-ი-21", შპს "ლ.-ჯ-ია", შპს "ჯ-ა", შპს "მ-ი", შპს "ქ.-ჯ-ია", შპს "ა-ია", შპს "ფ.-ს-ისი", შპს "ო-ა", შპს "ფ-ი", შპს "ნ-ი", ი/მ "ს. დ-ძე", ი/მ "რ. ბ-ძე", ი/მ "თ. ბ-ძე", ი/მ "ი. შ-ძე", ი/მ "გ. ბ-ძე", ი/მ "ა. ძ-ძე", ი/მ "ჯ. ა-ძე", ი/მ "ა. მ-ძე", ი/მ "რ. ჩ-ძე", ი/მ "ე. კ-ძე", ი/მ "გ. დ-ძე", ი/მ "ლ. ტ-ძე", ი/მ "ზ. ქ-შვილი", ი/მ "შ. დ-ძე", ი/მ "ხ. კ-ძე", ი/მ "დ. ა-ძე", ი/მ "ი. ბ-ძე".

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ბათუმის საგადასახადო ინსპექცია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი/მ "ვ. თ-ანის" სარჩელი დაკმაყოფილდა; ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას დაევალი ი/მ "ვ. თ-ანისათვის" დარიცხული დღგ-ს -388162 ლარის აღდგენა და მასზე დარიცხული საურავის გაუქმება.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ საქმეში არსებული ანგარიშ-ფაქტურებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე ი/მ "ვ. თ-ანს" გადახდილი ჰქონდა დამატებული ღირებულების გადასახადი და ბიუჯეტთან ანგარიშსწორება მოხდენილი იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ, რადგან თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის ეროვნული ბანკის შესაბამის ანგარიშზე არ მოხვდა, მოსარჩელეს უარი უნდა თქმოდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებათა შესრულების მიზნით, ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და შესაბამისი ბიუჯეტების ერთობლიობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ცენტრალურ ბიუჯეტში შესატანი თანხის ჩარიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა არ უნდა გამხდარიყო ი/მ "ვ. თ-ანის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

რაც შეეხებოდა დარიცხულ საურავს, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი უნდა გაუქმებულიყო. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 ნაწილის (ასევე -2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის 25-ე ნაწილის) თანახმად, დღგ იყო არაპირდაპირი გადასახადი, რომლის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრებოდა საქონლის მიმწოდებელს, რომელიც იწოდებოდა გადასახადის გადამხდელად. ჩათვლების აღდგენაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, საფუძველს მოკლებული იყო საურავის დაკისრება მყიდველზე, ვინაიდან მას არ გააჩნდა დღგ-ს თანხის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, ი/მ "ვ. თ-ანის" მიერ შესრულებული იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები, მის მიერ მომხდარი იყო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, რის გამოც მისი სარჩელი იყო საფუძველიანი. ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას, საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -100 ლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია), რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც ი/მ "ვ. თ-ანს" აღუდგა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის -სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი, მიხედვით დარიცხული დღგ, განსახილველად იქნა დაშვებული; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი/მ "ვ. თ-ანს" აღუდგა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის -სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი, მიხედვით დარიცხული დღგ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სს "ქართული შაქარი".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება ი/მ "ვ. თ-ანისათვის" სს "ქ-ი შ-ის" მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის, -სერია აა-99 #191155, თანხით -2 666,67 ლარი, საფუძველზე განხორციელებული დღგ-ს ჩათვლის აღდგენის, ასევე საურავის გაუქმების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი/მ "ვ. თ-ანის" სარჩელი სს "ქ-ი შ-ის" მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის, -სერია აა-99 #191155, თანხით -2 666,67 ლარი, საფუძველზე განხორციელებული დღგ-ს ჩათვლის აღდგენისა და საურავის გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი/მ "ვ. თ-ანმა", რომელმაც საურავის გაუქმების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით მიღება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება საურავის გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში სამართლებრივად და ფაქტობრივად არ იყო დასაბუთებული, ვინაიდან მის მიერ შეძენილ საქონელზე დღგ 2666,67 ლარი გადახდილია. საქმეში არსებული მტკიცებულებით დასტურდება სს "ქ-ი შ-ის" მიერ საგადასახადო ვალდებულების -ბიუჯეტში თანხის შეტანის დარღვევის ფაქტი. ამდენად, მისი მხრიდან საგადასახადო ვალდებულება არ დარღვეულა, რის გამოც მას საურავი არ უნდა დაკისრებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო იმავე სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი/მ "ვ. თ-ანის" საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება საურავის გაუქმების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში:

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაუშვებლად იქნა ცნობილი, დასაშვებად მიჩნეულ იქნა მხოლოდ ი/მ "ვ. თ-ანისათვის" სს "ქ-ი შ-ის" მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის, -სერია აა-99 #191155, თანხით -2 666,67 ლარი, საფუძველზე განხორციელებული დღგ-ს ჩათვლის აღდგენის ნაწილში. საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს მხოლოდ ამ ნაწილში, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დანარჩენ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს საქმეში არსებულ პროცესუალურ შეუსაბამობაზე. კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიცვალა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი/მ "ვ. თ-ანის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საყურადღებოა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება ი/მ "ვ. თ-ანის" სასარჩელო მოთხოვნის -საურავის გაუქმების ნაწილში, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვის მომენტისათვის შესული იყო კანონიერ ძალაში და მასზე სააპელაციო სასამართლოს აღარ უნდა ემსჯელა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა რა უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინებაში მითითებული გარემოებები და იმსჯელა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც უკვე კანონიერ ძალაში იყო შესული, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს ი/მ "ვ. თ-ანისათვის" საურავის გაუქმების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი/მ "ვ. თ-ანის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება ი/მ "ვ. თ-ანისათვის" საურავის გაუქმების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების ამ ნაწილში კანონიერ ძალაში შესვლის გამო;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## საჩივრის დაუშვებლობა

### განჩინება

#ბს-1213-1157(კ-09)

30 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა სს "ე.პ.ჯ-ს" საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველები.

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს "ე.პ.ჯ-მ" 15.01.09წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და მესამე პირის შპს "ა-სი-6"-ის მიმართ, რომლითაც მოპასუხის 18.12.08წ. #16/2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 04.03.09წ. გადაწყვეტილებით სს "ე.პ.ჯ-ს" სარჩელი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "ე.პ.ჯ-მ".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.09წ. განჩინებით სს "ე.პ.ჯ-ს" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 04.03.09წ. გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.09წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "ე.პ.ჯ-მ", რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს "ე.პ.ჯ-ს" საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიღებული. მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით, საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულ საქმეს არ გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს -წარმატების პერსპექტივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული არც ერთი საფუძველი, რის გამოც სს "ე.პ.ჯ-ს" საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სს "ე.პ.ჯ-ს" საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.09წ. განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. კასატორს -სს "ე.პ.ჯ-ს" დაუბრუნდეს მის მიერ 08.10.09წ. #527 ელექტრონული საგა-დასახადო დავალებით (საიდენტიფიკაციო კოდი 205169066) გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -520,83 ლარის ოდენობით;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სარჩელის დასაშვებობა

### განჩინება

#ბს-482-461(კ-08)

14 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ბინის პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. კ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მშენებლობის და ჯარების განთავსების მთ. სამმართველოს, ვ. პ-ვის, მესამე პირის -ქ. თბილისის სასაბურთალოს რაიონულ სასამართლოს, ვ. ფ-ვას მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. 30.05.06წ. საოქმო განჩინებით ა. კ-შვილი, სსკ-ის 84-ე მუხლის საფუძველზე საქმის შეუწყვეტლად შეიცვალა სათანადო მოსარჩელით -საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროთი, ამასთან თავდაპირველი მოსარჩელე -ა. კ-შვილი, სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად, საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული.

27.07.06წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მოპასუხე ვ. პ-ვის მიმართ, მესამე პირების -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ა. კ-შვილის მიმართ და მოსარჩელემ მოითხოვა ბინის პრივატიზების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 19.02.82წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაიცა ბინის ორდერი ვ. პ-ვზე, რომელმაც მოახდინა საცხოვრებელი ქ.თბილისში, ... მე-2 მ/რ, მე-2 კვ., კორპ. #5-ში, #22 ბინის პრივატიზაცია. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულება დადებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან 08.12.90წ. სსრ კავშირის დამლასთან ერთად იურიდიულად გაუქმდა სსრკ თავდაცვის სამინისტრო, ასევე, მის სისტემაში შემავალი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. შესაბამისად, სსრკ თავდაცვის სამინისტროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი და მისი საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილის სახლმმართველობა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს, რომელიც სახელმწიფოს სახელით საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი ქონების პრივატიზაციის განხორციელებაზე იყო უფლებამოსილი.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ სასარჩელო განცხადება ხანდაზმულია, ვინაიდან პრივატიზაცია 17.12.92წ. განხორციელდა. ამასთან, პრივატიზაციის კანონიერების შესახებ საკითხი ერთხელ უკვე განიხილა სასამართლომ, რომლითაც მოსარჩელეს -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მესამე პირის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანია, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხანდაზმულობის ვადების დაცვით მიმართა სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.10.06წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სარჩელით მიმართა სასამართლოს იმავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველით, რითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, უკანასკნელის სარჩელი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ხანდაზმულობის გამო არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს არა მისი სათანადო მოსარჩელედ საქმეში ჩართვისა და საქმის მასალების ჩაბარების დღიდან, არამედ იმ დღიდან, როცა სახელმწიფომ შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.03.08წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ა. კ-შვილის სააპელაციო საჩივრები -პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლსა და ვ. პ-ვს შორის 17.12.92წ. დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი ხანდაზმული იყო და აღნიშნა, რომ საპროცესო სამართალურთიერთობაში სამინისტრო მონაწილეობს მხარედ და არა წარმომადგენლად, შესაბამისად, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული სამინისტროების სსიპ სახელმწიფოს წარმომადგენლებად მიჩნევა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად იმ მომენტის განსაზღვრა, რომლიდანაც სახელმწიფო ორგანოსათვის (კონკრეტულ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროსათვის) ცნობილი უნდა ყოფილიყო სადავო პრივატიზაციის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგზე, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოთხოვნის უფლება გააჩნდა სახელმწიფოს, ა. კ-შვილი არასათანადო მხარედ არ უნდა მიჩნეულიყო. სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი, ვერ განახორციელებს თავის უფლებას საამისოდ უფლებამოსილი მმართველობის ორგანოების გარეშე. ამდენად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის დამოუკიდებლად უნდა აითვალოს და მასზე გავლენას ვერ იქონიებს თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელის შეტანით, უფლების რეალიზების ფაქტი. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის, მისი სათანადო მოსარჩელედ ცნობამდე, ცნობილი იყო სადავო პრივატიზაციის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ 1995 წელს ვ. პ-ვის ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. სადავო პრივატიზაცია განხორციელდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის #107-ე დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით, პრივატიზების უფლება ჰქონდა, ბინის დამქირავებელ საქართველოს მოქალაქეებს, ხოლო ვ. პ-ვი საქართველოს მოქალაქეობა 19.03.07წ. მოიპოვა, იგი პრივატიზაციის მომენტში არ იყო საქართველოს მოქალაქე. საქართველოს მთავრობის 23.04.92წ., 09.10.92წ. დადგენილებების საფუძველზე სადავო ბინა წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებას და რუსეთის ფედერაციის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელს არ ჰქონდა მისი განკარგვის უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლოს 06.03.08წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ვ. პ-ვის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით ახალი გადაწყვეტილების მიღება, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორი აღნიშნავს, რომ 17.12.92წ. პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით ჯერ კიდევ 15.03.2000წ. მიმართა. ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ დავა მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 17.12.92წ. ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა იმავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველით. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს არა მისი სათანადო მოსარჩელედ საქმეში ჩაბმის მომენტიდან, არამედ იმ დღიდან, როდესაც სახელმწიფომ შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას ბინის მინისტრთა კაბინეტის #107 დადგენილების დარღვევით პრივატიზების, საქართველოს მოქალაქეობის 19.03.07წ. მოპოვების გამო ბინის პრივატიზაციის უფლების არ ქონის შესახებ. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ის ცხოვრობდა საქართველოში, საქართველოს სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობდა სსრ კავშირის პასპორტით, "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" ორგანული კანონი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების შემდეგ, კერძოდ 25.03.93წ. არის მიღებული. განსახილველ დავასთან კავშირი არ აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ 1995 წელს მისი ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით რუსეთის ფედერაციაში.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა, აგრეთვე საქმეში მესამე პირად ჩაბმულები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ა. კ-შვილი და მისი წარმომადგენელი საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნეს და ითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ვ. პ-ვის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 15.03.2000წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ქ.თბილისში, ... მე-2 კვ., მე-5 კორპუსის, საცხოვრებელი #22 ბინის, პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 15.01.01წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების და ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოსა (14.05.03წ.) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს (20.02.04წ.) განჩინებებით. ხსენებული სასამართლო აქტებით სარჩელი მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ თავდაცვის სამინისტროს თავისი უფლების დარღვევის შესახებ სადავო ბინის პრივატიზების ხელშეკრულების დადებისთანავე (17.12.92წ.) უნდა შეეტყო.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 06.02.2000წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვ. პ-ვის სარჩელი და სადავო ბინიდან გამოსახლებულ იქნა ა. კ-შვილი თანმხლებ პირებთან ერთად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ დატოვებული იქნა უცვლელად და შევიდა კანონიერ ძალაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 17.12.92წ. პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ მოთხოვნის მსგავსია, რომელზედაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტები. ორივე შემთხვევაში მოსარჩელეთა სამართლებრივ მიზანს, ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების უკან დაბრუნება, ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში სადავო საცხოვრებელი ბინა აღმოჩნდებოდა არა რომელიმე სამინისტროს, არამედ სახელმწიფოს საკუთრებაში, ორივე შემთხვევაში სამინისტროები მოქმედებენ სახელმწიფოს ინტერესებში, საჯარო დაწესებულებას თავისი ინტერესი არ აქვს, ის იცავს სახელმწიფო ინტერესს.

საქართველოს კონსტიტუციის 81<sup>2</sup> მუხლის თანახმად, სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით. "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის თანახმად, სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც განსაზღვრულ სფეროში უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას. სამინისტრო არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, საჯარო სამართლის იურიდიული პირია სახელმწიფო, რომელიც სკ-ის 24-ე მუხლის მიხედვით, სამართალურთიერთობებში მონაწილეობს მისი ორგანოების მეშვეობით. სამინისტროები სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიან სახელმწიფოს სახელით და ახორციელებენ მმართველობას კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. ამდენად, ორივე შემთხვევაში საქართველოს თავდაცვისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ. სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რიგი ნორმატიული აქტების საფუძველზე (მაგ. მთავრობის 23.04.92წ. #466, 30.07.92წ. #766, 09.10.92წ. #984 დადგენილებები) სამხედრო ობიექტები და მათ ბალანსზე რიცხული სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტები, ძირითადი ფონდები გადავიდა საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. ზემოაღნიშნული დადგენილებების საფუძველზე სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით ვალდებული იყო, მოეძია და აღერიცხა რუსეთის ფედერაციის ჯარების დაჯგუფების მიერ გადმოსაცემი ქონება. "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არის სახელმწიფოსაგან უფლებამოსილი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე, რომელიც ფლობს, განკარგავს და მართავს სახელმწიფო ქონებას. სკ-ის 143-ე მუხლის თანახმად, უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც. სკ-ის 128.3 მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. სადავო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება დადაბულია 17.12.92წ., ხოლო სარჩელი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 27.07.06წ. აღიძრა. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხანდაზ-

მულობის დენის დაწყების მომენტად მიჩნეულ უნდა იქნეს საქმეში სათანადო მოსარჩელის სახით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩართვა.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის, "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მე-4 მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი ვერ იქნება დამოკიდებული უძრავი ქონების მიმართ სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების გადანაწილებაზე, ამგვარი მიდგომა შედეგად გამოიწვევს პერმანენტული სამართლებრივი გაურკვევლობის მდგომარეობას, ერთიდაიგივე დავის რამოდენიმეჯერ განხილვას. აღნიშნული ფაქტობრივად უტოლდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონიერების და დასაბუთებულობის კიდევ ერთი, დამატებითი პროცედურის დაშვებას, სასამართლო აქტების გადასინჯვის დადგენილი პროცედურის შეცვლას. საქმის მასალების მიხედვით, სსკ-ის 84-ე მუხლის საფუძველზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სათანადო მოსარჩელედ ჩართვა ა. კ.-შვილის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მოტივირებულია იმით, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო ორგანოებს შორის უფლებამოსილების გადანაწილება არ წარმოადგენს ერთხელ უკვე გადაწყვეტილი დავის განახლების საფუძველს.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 01.02.92წ. #107-ე დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით ბინის პრივატიზების შესახებ, რომლის თანახმად ბინის პრივატიზაციის უფლება ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეებს. ის გარემოება, რომ ვ. პ.-ვს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა საქართველოს პრეზიდენტის 19.03.07წ. #188 ბრძანებულებით არ ადასტურებს ხსენებული დადგენილების მოთხოვნის დარღვევით ბინის პრივატიზაციას, ვინაიდან პრივატიზაციის ხელშეკრულება დაიდო "მოქალაქეობის შესახებ" 25.03.93წ. ორგანული კანონის მიღებამდე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნიდა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მთავრობის 23.04.92წ., 09.10.92წ. დადგენილებებზე მითითება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების დადებისას ვ. პ.-ვი სამხედრო მოსამსახურედ არ ირიცხებოდა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან ის 16.08.1989წ. არის დათხოვნილი. მინისტრთა კაბინეტის 06.08.93წ. #603 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების მიხედვით აღიარებული იქნა ყოფილ სამხედრო მოსამსახურეების, რომლებმაც ბინები მიიღეს რუსეთის ფედერაციის ჯარების ჯგუფისა და ყოფილი სსრ კავშირის სამხედრო უწყებათა კუთვნილ საბინაო ფონდში და აღარ მსახურობდნენ ამ სამხედრო შენაერთებში, დაკავებული ბინების პრივატიზაციის უფლება, ამასთანავე მიეთითა, რომ იმ პირებს, რომლებსაც გადაფორმებული ჰქონდათ საკუთრებაში სამხედრო უწყებიდან მიღებული ბინები, უნარჩუნდებოდათ ყველა უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, იმსჯელოს მოცემული სარჩელის საფუძვლებთან მათ იდენტურობაზე და აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყვიტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელის დასაშვებობის საკითხი. სასკ-ის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია დააბრუნოს საქმე ხელახალი განხილვისათვის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. პ.-ვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.08წ. გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სარჩელის დასაშვებობა

### განჩინება

# ბს-1176-1138 (კს-08) 25 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2000 წლის აპრილში სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ქ. თბილისის მერიის, მესამე პირის შპს "ნ. ლ-მის" მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 11 მაისის #693 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 4 აგვისტოს #16.30.353 დადგენილების ბათილად ცნობა, შპს "ნ. ლ-მეზე" გაცემული მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების გაუქმება და საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანა.

მესამე პირის - შპს "ნ. ლ-მის" გენერალურმა დირექტორმა ნ. ლ-მემ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის, ქ. თბილისის სატყეო მეურნეობის და შპს "თ-ას" მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისაგან სოლიდარულად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანისათვის 256334 ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელე საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის სარჩელი მოპასუხე თბილისის მერიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის და ხანდაზმულობის გამო; დაკმაყოფილდა მესამე პირის - შპს "ნ. ლ-მის" დამოუკიდებელი სარჩელი და პირველ მოპასუხეს - საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს გადახდა მის სასარგებლოდ 256334 ლარი და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ხარჯი -1200 ლარი; საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს დაეკისრა ექსპერტიზის ხარჯების გადახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის სასარგებლოდ 2003 წლის 7 მარტის #12 ანგარიშ-მოთხოვნის შესაბამისად 550 ლარი და 2003 წლის 30 სექტემბრის #975/15 ანგარიშ-მოთხოვნის შესაბამისად 350 ლარი; მასვე გადახდა ადვოკატ ხ. გ-შვილის სასარგებლოდ 2002 წლის 2 ოქტომბერს #103 ორდერის საფუძველზე შპს "ნ. ლ-მის" ინტერესების დასაცავად განხორციელებული მომსახურების ასანაზღაურებლად 2563 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს "ნ. ლ-მემ" და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინებით შპს "ნ. ლ-მის" შუამდგომლობა დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სატყეო დეპარტამენტის (საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მიმართ), ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 11 მაისის #693 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის #16.30.353 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე, საქმის წარმოება შეწყდა დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 11 მაისის #693 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის #16.30.353 დადგენილების არსებობის შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა 1999 წლის აპრილში, მან კი აღნიშნული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელი აღძრა 2000 წლის 11

აპრილს, ანუ 11 თვის შემდეგ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ამოქმედდა 2000 წლის 1 იანვარს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 2000 წლის 11 აპრილის მდგომარეობით მოსარჩელეს უკვე გაშვებული ჰქონდა ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრებისათვის დადგენილი 6-თვიანი ვადა იმავე კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად (იმ დროს მოქმედი რედაქციით). სააპელაციო სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიღებამდე მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV თავი, რომლის 361-ე მუხლის მიხედვითაც ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრებისათვის დადგენილი იყო 1-თვიანი ვადა. ამ ვადის დენა იწყებოდა იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა სარჩელის აღძვრის უფლება.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სატყეო დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივარში მითითებულია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 ივლისის სხდომის შესახებ სატყეო დეპარტამენტს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით სასამართლო სხდომის დაწყებამდე ორი საათით ადრე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-76-ე მუხლებით დადგენილ წესს. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არაუფლებამოსილ პირს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით სხდომის თაობაზე.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ სატყეო დეპარტამენტმა ვერ განახორციელა თავისი ინტერესების დაცვა სასამართლო პროცესზე, რის შედეგადაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება სატყეო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

კერძო საჩივრის ავტორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინება სადავოდ გახადა ერთის მხრივ იმ საფუძვლით, რომ იგი სასამართლო სხდომაზე არ იყო მიწვეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-76-ე მუხლით დადგენილ წესით და მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიუღებლობის გამო ვერ დაიცვა თავისი ინტერესები, რის შედეგადაც სააპელაციო პალატამ გამოიტანა განჩინება მისი მოთხოვნის დაუშვებლობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დარღვევით, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ 2008 წლის 11 თებერვალს გაცემული #13/01-42/198 რწმუნება, რომლითაც იურისტ მ. ხ-შვილს მიენიჭა უფლებამოსილება შპს "ნ. ლ-მის" საქმეზე მონაწილეობა მიეღო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის სახელით; ამ რწმუნების მოქმედების ვადა განისაზღვრა 6 თვით. საქმეში წარმოდგენილი, 2008 წლის 26 ივნისის ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ აქტით ირკვევა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენელს, იურისტს მ. ხ-შვილს ტელეფონით აცნობეს სააპელაციო პალატის 2008 წლის 2 ივლისის 15 საათსა და 30 წუთზე სააპელაციო სასამართლოს სხდომის ჩატარების შესახებ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშებით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკითხები, რა დროსაც დგება აქტი, რომელიც ჩაიკვრება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება ტელეფონის შემთხვევაში ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით. იმავე კოდექსის 70-ე მუხლის

პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო პალატის 2008 წლის 2 ივლისის სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს 2000 წლის 1 იანვარს ამოქმედებული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების 6 თვიანი ვადა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა სარჩელით მოითხოვა ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 11 მაისის #693 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 4 აგვისტოს #16.30.353 დადგენილების ბათილად ცნობა.

ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 11 მაისის #693 განკარგულებით დაკმაყოფილდა გაერთიანება "საქქალაქმშენის" მექანიზაციის სპეციალიზირებული ტრესტის და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის არქფონდთან, არსებული ნ. ლ-ძის შემოქმედებითი საწარმოო სახელოსნოს თხოვნა და გამოეყო მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად შემდეგში აუქციონის წესით გაყიდვის უფლებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფხვნილოვანი მეტალურგიის ინსტიტუტს შორის; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 4 აგვისტოს #16.30.353 დადგენილებით კი შპს "ნ. ლ-ძეს", როგორც სამართალმემკვიდრეს, გადაუფორმდა ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 11 ივნისის #698 განკარგულებით გაერთიანება "საქქალაქმშენის" მექანიზაციის სპეციალიზირებული ტრესტის და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის არქფონდთან არსებული ნ. ლ-ძის შემოქმედებითი საწარმოო სახელოსნოსათვის დამატებული მიწის ნაკვეთი.

შპს "ნ. ლ-ძის" საკუთრების უფლება ქ. თბილისში, ...-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა 1999 წლის 10 თებერვალს "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარეგლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. ამ უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტს ასევე წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 4 აგვისტოს #16.30.353 დადგენილება და ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ 1993 წლის 7 სექტემბრის #452 ბრძანებით დამტკიცებული გენგეგმა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარეგლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადა, რომელიც შეადგენს სამ წელს.

მოსარჩელე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტისათვის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 11 მაისის #693 განკარგულებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 4 აგვისტოს #16.30.353 დადგენილების შესახებ ცნობილი გახდა 1999 წლის აპრილში; ამ აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით კი მან სარჩელი აღძრა 2000 წლის 11 აპრილს, ანუ 11 თვის შემდეგ.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის სარჩელის დასაშვებობის საკითხის მსჯელობისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარეგლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და არასწორად იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რადგან მოცემული დავის საგნის არსიდან გამომდინარე სასამართლომ უნდა შეემოწმებინა მოსარჩელემ დაიცვა თუ არა სარჩელის სასამართლოში აღძვრის ხანდაზმულობის არა 6-თვიანი, არამედ სამწლიანი ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.



ლია, და იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე<sup>1</sup>" პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს, რის გამოც მოცემული საქმე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის კერძო საჩივარი;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. შეგებებული სარჩელის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ბს-1683-1637(კს-08) 24 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შეადგენლობა: ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 6 მაისს გ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის მთაწმინდა-კრწანის რაიონულ სასამართლოში ე. გ-მის მიმართ და მოითხოვა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან იძულებითი წესით უვარგისი მანქანების გატანა, ნაკვეთის შემოღობვის საშუალების მიცემა და მოპასუხისათვის ნაკვეთით სარგებლობის გადასახადის დაკისრება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, ქ. თბილისში, ... ქ. #49-51-ში აქვს საკუთარი სახლი და 120 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სახლის შეკეთების მიზნით, პროექტის შესაბამისად, ღობავდა მიწის ნაკვეთს, რაშიც ხელს უშლიდა მოპასუხე, კერძოდ, ამ უკანასკნელს 2000 წლიდან მოსარჩელის ნაკვეთში გაჩერებული ჰყავს ორი უვარგისი ავტომანქანა, რისი მეშვეობითაც ცდილობს ნაკვეთის მისაკუთრებას. აღნიშნულის თაობაზე 2004 წლის 18 მარტს მოსარჩელემ მიმართა მთაწმინდა-კრწანისის შინაგან საქმეთა სამმართველოს, მაგრამ პოლიციის მუშაკებმა ვერ აიძულეს მოპასუხე, გაეთავისუფლებინა მიწის ნაკვეთი. მოსარჩელემ საჩივრით მიმართა მერიის არქიტექტურის სამსახურს, მაგრამ მიიღო უარყოფითი პასუხი.

მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის მიწით სარგებლობის გამო გადასახადის დაკისრების ნაწილში.

2004 წლის 15 ივნისს შეგებებული სარჩელი აღძრა ე. გ-მემ გ. გ-შვილის, შპს "რ-ის" დირექტორის -გ. ბ-შვილის, ჯ. ბ-შვილისა და საჯარო რეესტრის მიმართ, არ ცნო გ. გ-შვილის სარჩელი და მოითხოვა 2000 წლის 20 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების, საჯარო რეესტრის ამონაწერის, საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა, მოსარჩელის მიერ სარდაფში წარმოებული მშენებლობის შეჩერება, შეგებებული მოპასუხისათვის ზარალის ანაზღაურების დაკისრება და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის დავალდებულება, შემდეგი საფუძველით:

შეგებებული მოსარჩელის მითითებით, გ. გ-შვილი შეიჭრა ... ქ. #49-ში მდებარე საერთო იტალიურ ეზოში და დაიწყო ნაკვეთის შემოღობვა. აღნიშნულ ნაკვეთზე იყო ავარიული საცხოვრებელი სახლი, რომელიც დაინგრა და მასში მცხოვრები ყველა მობინადრე სახელმწიფომ დააკმაყოფილა ბინებით. ამდენად, ნაკვეთზე საკუთრების უფლება არავის არ ჰქონდა მინიჭებული.

შეგებებული მოსარჩელის მითითებით, გ. გ-შვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ... ქ. #49-ში არსებული 120 კვ.მ მიწის ნაკვეთის მფლობელი იყო შპს "რ-ი", რომ-

ლისგანაც ნაკვეთი შეისყიდა გ. გ-შვილმა, კერძოდ, 2000 წლის 20 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს "რ-ის" დირექტორმა გ. გ-შვილს მიჰყიდა ქ. თბილისში, ... ქ. #49-ში მდებარე 12 კვ.მ შპს "რ-ის" კუთვნილი შენობა-ნაგებობა, რაც, რეალურად, წარმოადგენს კიბის უჯრედს, რომლის უკანა კედელი ესაზღვრება ... ქ. #49-ში მდებარე იტალიურ ეზოს და 120 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ქონების შპს "რ-ის" მფლობელობაში არსებობის ფაქტი დასტურდება საჯარო რეესტრის 2000 წლის 5 თებერვლის ამონაწერით და საკადასტრო რუკით. რეესტრის ამონაწერის თანახმად, უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 30 აგვისტოს #13.05.812 დადგენილება, ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1999 წლის 3 აპრილს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ 1996 წლის 11 ივნისს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

შეგებებული მოსარჩელის მითითებით, გ. გ-შვილმა ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ... ქ. #51-ში მდებარე თავისი კუთვნილი მაღაზიის სარდაფის მხრიდან უკანონოდ გამოამტვრია ... ქ. #49-ში მდებარე ეზოს ქვეშ არსებული სარდაფის კედელი და შეიჭრა სხვის სარდაფში, რომელიც არა მარტო სადავო 120 კვ.მ მიწის, არამედ მთელი ეზოს ქვეშ მდებარეობს და აწარმოებდა უკანონო სამშენებლო სამუშაოებს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს აეკრძალა მოსარჩელისათვის ქ. თბილისში, ... ქ. #49-ში მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების განხორციელებაში ხელშეშლა და დაევალა ნაკვეთის გამოთავისუფლება; ე. გ-მის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მემ და მოითხოვა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 აპრილის განჩინებით ე. გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მემ და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ე. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 14 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 16 მარტის საოქმო განჩინებით, სსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით -საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით საქმე უვარგისი მანქანების გატანისა და ნაკვეთის შემოღობვაში მოპასუხის მიერ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გ. გ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში და 2000 წლის 20 აპრილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე ე. გ-მის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება შეგებებული მოთხოვნის -საკადასტრო რუკისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის ბათილად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა დაუმკველობის მოტივით, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლით და მიუთითა, რომ აპელანტმა ვერ დაასაბუთა თუ რა პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მის კანონიერ უფლებას და ინტერესს, ან რითი შეიზღუდა მისი უფლება. აპელანტმა სადავო მიწის ნაკვეთზე ვერ წარმოადგინა საკუთრების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს საერთო სარგებლობის ეზოს, იგი ავარიული შენობის დანგრევის შედეგად გათავისუფლებული მიწის ნაკვეთია. ამდენად, სააპე-

ლაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტს არ გააჩნია რა არანაირი უფლება მიწის ნაკვეთზე, სახეზე არ არის უშუალო და პირდაპირი ზიანი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სსსკ-ის 17.1 მუხლის შესაბამისად, აპელანტმა სასამართლო სხდომაზე ვერ დაასაბუთა თავისი მოთხოვნა და ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შეგებებულ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. გ-მემ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას არ შეასრულა საკასაციო სასამართლოს 2006 წლის 15 სექტემბრის განჩინებაში ასახული მითითებები და არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ მისცა მათ სამართლებრივი შეფასება, რის გამოც უკანონოდ შეწყვიტა საქმის წარმოება.

კერძო საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ მან ვერ წარადგინა სასამართლოში სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, 2000 წლის 27 სექტემბერს მან რ. კ-შვილისაგან შეიძინა . . . ქ. #49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელიც განთავსებული იყო 353 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. სახლი იყო სამსართულიანი, მისი კუთვნილი ოთახები კი შეადგენდა 49 კვ.მ-ს, ასევე ჰქონდა 20 კვ.მ სარდაფი. აღნიშნული დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერითაც, რომელიც წარმოდგენილი იყო საქმეში. ამდენად, ქ. თბილისში, . . . ქ. #49-ში მდებარე სახლთმფლობელობას დაკავებული ჰქონდა 353 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საიდანაც 240 კვ.მ ეკავა შენობას, დანარჩენი კი წარმოადგენდა საერთო სარგებლობის ეზოს. სწორედ აღნიშნული სახლთმფლობელობის შენობის ის ნაწილი დაინგრა, რომელიც დღეისათვის არის სადავო, ანუ საერთო სახლთმფლობელობის ნაწილი, რომლისგანაც გამოთავისუფლებულ ტერიტორიას დაეუფლა შპს "რი", შემდეგ კი გ. გ-შვილი და სურდათ მოეხდინათ მისი შემოღობვა, რითაც, ფაქტობრივად, შემცირდა სახლთმფლობელობის მიერ დაკავებული ფართი ისე, რომ არავის მოუხდენია ფართის გამიჯვნა. აღნიშნულით ირღვევა თითოეული თანამესაკუთრის უფლებები და კანონიერი ინტერესები. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს იმ დოკუმენტების ბათილად ცნობას, რომლებითაც დაირღვა მისი, როგორც თანამესაკუთრის, უფლებები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების ზეპირი მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. გ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევები არ მომხდარა, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

კონკრეტულ შემთხვევაში ე. გ-მის შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რომელთა საფუძველზეც მოწინააღმდეგე მხარეს წარმოეშვა საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე. შეგებებული მოსარჩელე მითითებული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლებას ასაბუთებდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ აღნიშნული აქტებით დაირღვა მისი, როგორც თანამესაკუთრის უფლებები, ამასთან, სადავო ფართის შემოღობვის შემთხვევაში ვერ შეძლებდა კუთვნილ სარდაფში შესვლას. აღნიშნული მოთხოვნას კი ამყარებდა საჯარო რეესტრის ამონაწერზე (3526/2003). მითითებული ჩანაწერის საფუძველს წარმოადგენდა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში რეგისტრირებული, ე. გ-მესა და რ. კ-შვილს შორის 2000 წლის 27 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. თბილისში, . . . ქ. #49-ში მდებარე 49კვ.მ საცხოვრებელი ბინის ე. გ-მისათვის მიყიდვის შესახებ. აღნიშნული საცხოვრებელი ფართი წარმოადგენდა ქ. თბილისში, . . . ქ. #49-ში განთავსებული მთლიანი საცხოვრებელი სახლის 49/240-ს. ქ. თბილისში, . . . ქ. #49-ში მდებარე 240 კვ.მ-ზე განლაგებული საცხოვრებელი სახლი დაინგრა და მოპასუხემ მოახდინა ამ მიწის ნაკვეთის ნაწილის თავის სახელზე დარეგისტრირება. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ მი-

თითებულ 240 კვ.მ მიწის ნაკვეთზე თანასაკუთრების უფლება გააჩნდა და მისი ნაწილის მოპასუხისათვის მიკუთვნებით შეილახა მისი ინტერესები.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ე. გ-მემ ვერ დასაბუთა სადავო მიწის ნაკვეთზე უფლების არსებობა, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც აღირიცხა ჯერ შპს "რ-სა" და შემდეგ გ. გ-შვილის სახელზე, წარმოადგენდა საერთო საკუთრების ფართს და აღნიშნული ვერც კერძოსაჩივრის ავტორის მიერ იქნა დადასტურებული.

საქმის მასალების თანახმად, შპს "რ-იმ" დაირეგისტრირა 240 კვ.მ-ზე განთავსებული საცხოვრებელი ფართის დანგრევის შედეგად წარმოშობილი მიწის ფართის ნაწილი. ასევე დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი განლაგებული იყო 353 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საიდანაც საცხოვრებელი ფართი შეადგენდა 240 კვ.მ-ს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208.3 მუხლის შესაბამისად, ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ მითითებული 240 კვ.მ იყო მობინადრეთა საერთო საკუთრების ფართი.

კერძო საჩივრის ავტორის მიერ ასევე ვერ იქნა დასაბუთებული და დადასტურებული სათანადო მტკიცებულებებით ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ სადავო ფართის შემოღობვით ვერ შეძლებს კუთვნილ სარდაფთან დაკავშირებას. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით კი, ე. გ-მის კუთვნილ სარდაფს არა აქვს შესასვლელი გ. გ-შვილის სახელზე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მხრიდან.

ამდენად, არ დასტურდება ე. გ-მის უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლით განსაზღვრული, ე. გ-მის შეგებებული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ დასაშვებია, თუ აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ე. გ-მის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული მოსარჩელის სუბიექტური უფლების დარღვევა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად შეწყვიტა შეგებებულ სარჩელზე წარმოება დაუშვებლობის მოტივით.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერებასთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 15 სექტემბრის განჩინების მითითების შესაბამისად, უნდა ემსჯელა და გამოეკვლია წარმოადგენდა თუ არა საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველად სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული დოკუმენტაცია კანონიერ საფუძველს სადავო მიწის ნაკვეთზე შპს "რ-ის" საკუთრების უფლების რეგისტრაციის განსახორციელებლად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის მითითებულ არგუმენტს, რადგან სააპელაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>.5 მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა და შეწყვიტოს საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო, რაც მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში, ხოლო მითითებული გარემოებების საფუძვლიანობის შემოწმება მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე იქნებოდა შესაძლებელი, თუ არ იარსებებს სარჩელის დაუშვებლად ცნობის პროცესუალური წინაპირობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია რა, რომ არსებობდა ე. გ-მის შეგებებული სარჩელის დაუშვებლობის წინაპირობები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>.5 მუხლით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში იმსჯელა შეგებებული სარჩელის დასაშვებობაზე და შეწყვიტა მასზე საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის დასაშვებობის წინაპირობის არარსებობის გამო.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის მოტივები დაუსაბუთებელია, არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შეგებულ სარჩელის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ბს-877-839(კს-09) 9 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ბინიდან გამოსახლება, დროებითი საცხოვრებელი ფართის გამოყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. თბილისის მერიამ 2003 წლის ნოემბერში სარჩელი აღძრა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში აფხაზეთიდან დევნილების -ნ. ფ-იას, ნ. ა-აიას, ი. შ-იას და სხვათა მიმართ (67 პირის) და მოითხოვა "იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა შესახებ" კანონის 7.3 მუხლის "დ" ქვეპუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეების გამოსახლება ქ. თბილისში, ... დასახლება ... მრ/შ-ში მდებარე მშენებარე #... კორპუსიდან და მშენებლობის ხელშეშლის აღკვეთა, ასევე სსსკ-ის 268.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის განცხადება დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხეებს აეკრძალათ ქ. თბილისში, ... მრ/რ-ში მდებარე მშენებარე #... კორპუსში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება.

აფხაზეთიდან დევნილების -ნ. ა-აიას, კ. ა-მის, ა. ა-აიას, ქ. ბ-იანის, ნ. ბ-შვილის, გ. გ-ავას, ე. გ-იას, მ. გ-იას, დ. გ-იას, გ. გ-ავას, ს. გ-უას, თ. თ-უას, ზ. თ-იას, ს. თ-ანისა და ლ. კ-იას წარმომადგენელმა 2003 წლის 28 ნოემბერს შეგებულ სარჩელი აღძრა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე და დევნილის სტატუსის მოხსნამდე ქ. თბილისში, ... მრ/რ-ში მდებარე მშენებარე #... კორპუსში აფხაზეთიდან დევნილების მიერ დაკავებული ფართის მათთვის მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით გამოყოფა და ქ. თბილისის მერიის დავალდებულება 1996-2003 წლებში მოსარჩელეთა წინაშე სურსათის გამოყოფის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურება, ასევე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 2 დეკემბრის განჩინებით აფხაზეთიდან დევნილების: ნ. ა-აიას, კ. ა-მის, ა. ა-აიასა და სხვების (16 პირის) წარმომადგენლის შეგებულ სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული მათ მიერ დაკავებული ფართის ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ნაწილში, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში შეგებულ სარჩელის მიღებაზე მოსარჩელებს ეთქვათ უარი და განემარტათ, რომ აღნიშნული მოთხოვნით შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ დამოუკიდებელი სარჩელით.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს 2003 წლის 8 დეკემბერს შეგებულ სარჩელით კვლავ მიმართა აფხაზეთიდან დევნილების (სულ 23 პირი) ნ. კ-აიას, ი. კ-იას, ლ. კ-იანის, ბ. მ-ავას და სხვათა წარმომადგენელმა და მოითხოვა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე და დევნილის სტატუსის მოხსნამდე ქ. თბილისში, ... მრ/რ-ში მდებარე მშენებარე #... კორპუსში ზემოთ მითითებული პირების მიერ დაკავებული ფართის მათთვის მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით გამოყოფა და ქ. თბილისის მერიის დავალდებულება აუნაზღაუროს მოსარჩელებს 1996-2003 წლებში სურსათის გამოყოფის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დამდგარი ზიანი.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 10 დეკემბრის განჩინებით აფხაზეთიდან დევნილების (23 პირი) წარმომადგენლის -მ. ჰ-აიას შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ იქნა მიღებული წარმოებაში საცხოვრებელი ფართის ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, ხოლო ზიანის ანაზღაურების ნაწილში ეთქვა უარი.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 აპრილის განჩინებით საქმეში მესამე პირად იქნა ჩართული მ. კ-ძე.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 18 მაისის განჩინებით საქმეში შეგებებულ სარჩელზე მესამე პირად ჩართულ იქნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეები -აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები: დ. ფ-ია, ნ. ა-აია, ზ. ჭ-ია და სხვები (67 პირი) მათთან მცხოვრებ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნენ ქ. თბილისში, ... დასახლების ... მრ/რ-ში მდებარე #... კორპუსიდან, ხოლო აფხაზეთიდან დევნილების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აფხაზეთიდან დევნილების -ნ. ა-აიას, ვ. ა-ძის, ა. ა-აიასა და სხვათა წარმომადგენელმა მ. ჰ-აიამ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 1 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოქალაქეების -ლ. ს-ძის, ნ. ი-ავას, თ. ბ-შვილისა და სხვათა (28 პირის) შუამდგომლობა საქმეში მესამე პირებად ჩართვის შესახებ და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად იქნენ ჩაბმულნი ლ. ს-ძე, ნ. ი-ავა, თ. ბ-შვილი და სხვები (19) პირი, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად -ჯ. მ-ძე, ა. ჯ-შვილი, ხ. ტ-ძე და სხვები (9 პირი).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 14 ივნისის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის საფუძველზე მესამე პირებად ჩართული ნ. ჩ-უა და ქ. ა-ძე ჩართულ იქნენ მესამე პირებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივნისის განჩინებით ლ. ფ-იასა და ლ. ს-ძის გარდაცვალების გამო მათ მიმართ საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივლისის სხდომაზე აპელანტების წარმომადგენელმა გაზარდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა და მოითხოვა ქ.თბილისში, ... მე-... მრ/რ-ის მე-... კორპუსიდან გამოსახლებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართის გამოყოფა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივლისის განჩინებით ნ. ა-აიას, ვ. ა-ძის, ა. ა-აიასა და სხვათა წარმომადგენლის -მ. ჰ-აიას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ.არჩაიას, ვ. ა-ძის, ა. ა-აიასა და სხვათა (26 პირის) წარმომადგენელმა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მარტის განჩინებით ა. ა-აიას, გ. გ-ავასა და სხვათა (26 პირის) წარმომადგენლის მ. ჰ-აიას შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 31 ივლისის განჩინების აღსრულების შეჩერებისა და გარდაცვლილი ლ. ფ-იას უფლებამონაცვლედ თ. ფ-იას ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით აფხაზეთიდან დევნილების ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-იასა და სხვათა წარმომადგენლის მ. ჰ-აიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივლისის განჩინება ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-იასა და სხვათა წარმომადგენლის მ. ჰ-აიას შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივლისის განჩინება დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს იმ გარემოებას, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დროებითი

საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ ემყარება თუ არა იმავე საფუძველს და მიმართულია თუ არა ქ.თბილისის მერიის სარჩელის მიმართ, თუ წარმოადგენს დამოუკიდებელ სარჩელს.

ა. ა-აიას, გ. გ-ავასა და სხვათა წარმომადგენელმა მ. პ-აიამ 2006 წლის 7 დეკემბერს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა გამოსახლებას დაქვემდებარებული დევნილებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ნ. ა-აიას, ვ. ა-ძის, ა. ა-აიასა და სხვათა წარმომადგენლის -მ. პ-აიას განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ა-აიას, ვ. ა-ძის, ა. ა-აიასა და სხვათა წარმომადგენელმა მ. პ-აიამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის განჩინების ძალაში დატოვების შემთხვევაში, ქ. თბილისის მერიის დავალდებულება ქ. თბილისში, ... .. მრ/რ-ში მდებარე #... კორპუსში განთავსებული, გამოსახლებას დაქვემდებარებული პირებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით აფხაზეთიდან დევნილების -ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-აიასა და სხვათა წარმომადგენელ მ. პ-აიას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინება და სააპელაციო სასამართლოს დაევალა სადავო საკითხის განხილვა შეგებებული სარჩელის მოთხოვნის გაზრდის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აფხაზეთიდან დევნილების: ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-აიასა და სხვათა წარმომადგენელ მ. პ-აიას განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განიხილა საპროცესო ნორმების დარღვევით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის სტადიაზე არ განახორციელა შესაბამისი საპროცესო მოქმედება, კერძოდ, აპელანტის მიერ დაყენებულ იქნა მოთხოვნა გამოსახლებას დაქვემდებარებული პირების დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ, რაც არ წარმოადგენდა რაიონულ სასამართლოში აღძრულ შეგებებული სარჩელის მოთხოვნას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია აღნიშნულ შუამდგომლობაზე, არ შეუფასებია სსსკ-ის 381-ე მუხლის იმჟამად მოქმედი რედაქციის შესაბამისად, წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული შეგებებული სარჩელის მოთხოვნის გაზრდას, დავის საგნის შეცვლას თუ ეს იყო ახალი სასარჩელო მოთხოვნის წარდგენა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი შეფასების პირობებში სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა მიზანშეწონილობის საკითხი და დასაშვებად ან დაუშვებლად მიეჩნია იგი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებულ საპროცესო დარღვევებს შედეგად მოჰყვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადებაზე არასწორი განჩინების დადგენა და იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ არ გადაწყვიტა მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნის დაშვების საკითხი, არ არსებობდა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის სსსკ-ის 261.1 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მითითებული ნორმით გათვალისწინებული პროცესუალური წინაპირობა, რადგან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია უკვე არსებულ მოთხოვნაზე, რომელზეც არ უმსჯელია სასამართლოს და გადაწყვეტილებაში არ აუსახავს, კონკრეტულ შემთხვევაში კი შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნის დაშვება -არდაშვების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვის სტადიაზე, რადგან მხოლოდ მოთხოვნის დაყენება სააპელაციო სასამართლოში არ იყო საკმარისი და მისი განხილვა დამოკიდებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ ასეთი მოთხოვნის აღძვრის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით დასაშვებობის შეფასებაზე სსსკ-ის 381-ე მუხლის კონტექსტში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით შეგებებული სარჩელის დაზუსტებულ ნაწილში აფხაზეთიდან დევნილების ა.ა-აიას, გ.გ-ავას და სხვათა სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

სააპელაციო პალატის განჩინება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას აპელანტების წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა შუამდგომლობას სააპელაციო საჩივრის მე-5 პუნქტის დაზუსტების თაობაზე და კვლავ დააზუსტა იგი, რადგან უზენაესი სასამართლოს მიერ უცვლელად იქნა დატოვებული გადაწყვეტილება ლტოლვილთა გამოსახლების თაობაზე, აპელანტმა ძალაში დატოვა შეგებებული სარჩელის შეცვლილი მოთხოვნა ქ.თბილისის მერიისათვის -მის მარწმუნებლისათვის დროებითი სარგებლობისათვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის, ხოლო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის -აპელან-

ტების და მათი ოჯახის წევრების დროებით გამოყოფილ საცხოვრებელ ფართზე დავალდებულების შესახებ.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, მართალია აპელანტების წარმომადგენლის შუამდგომლობის წარმოდგენის მომენტისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მოქმედი რედაქციით სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაიშვებოდა დავის საგნის შეცვლა, მაგრამ მათი მოთხოვნა არ თავსდება პირვანდელი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის ჩარჩოებში და იგი არსებითად ახალ სარჩელს წარმოადგენს. სააპელაციო პალატის განმარტებით ეს დასტურდება შემდეგ გარებომებებით: შეგებებული სარჩელის საგანს წარმოადგენდა აფხაზეთიდან დევნილ ა.ა-აიას, გ.გ-ავას, და სხვ. ქ.თბილისში, ... .. მრ/რ-ში მდებარე მშენებარე #... კორპუსში მათ მიერ დაკავებული ფართის მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით გამოყოფა. მის საფუძვლად კი დასახელებული იყო სახელმწიფოს ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები. შეცვილ შეგებებული სარჩელის მოთხოვნას კი წარმოადგენდა აპელანტებისათვის დროებითი სარგებლობისათვის ახალი საცხოვრებელი სადგომის გამოყოფა, ხოლო მის საფუძვლად მითითებული სულ სხვა ნორმატიული აქტები, კერძოდ საქართველოს კანონი "იძულებითი გადაადგილებულ პირთა -დევნილთა შესახებ" და საქართველოს პარლამენტის დადგენილება "იძულებითი გადაადგილებულ პირთა -დევნილთა დროებით საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ". ახალი სამართლებრივი საფუძვლით ახალი მოთხოვნის წარდგენა ფაქტიურად ახალი სარჩელის წარდგენის ტოლფასად მიიჩნია სასამართლომ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლით საქმის განხილვის სააპელაციო სტადიაზე დაუშვებლად ჩათვალა.

სააპელაციო პალატის განმარტებით დასკვნა შეგებებული სარჩელის დაუშვებლობის თაობაზე დასტურდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილითაც, რომლის თანახმადაც სააპელაციო პალატა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. ქ. თბილისის გლდანი-ნამღალაძის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ შეგებებულ სარჩელში მოპასუხეებს დროებითი სარგებლობისათვის საცხოვრებელი სადგომის გამოყოფა არ მოუთხოვიათ, სასამართლოს იგი არ განუხილავს და შესაბამისად არც გადაწყვეტილება მიუღია.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ შეგებებული სარჩელის ნაწილში ა. ა-აიას, გ. გ-ავას და სხვ. წარმომადგენლის მ. პ-აიას დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მოთხოვნების და იგი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით აფხაზეთიდან დევნილების -ა. ა-აიას, გ. გ-ავას და სხვათა წარმომადგენელ მ. პ-აიას განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტი, რომლის თანახმად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებები.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით აფხაზეთიდან დევნილების -ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-იას და სხვათა წარმომადგენელ მ.პ-აიას შუამდგომლობა შეგებებული სარჩელის მოთხოვნის გაზრდით სააპელაციო საჩივრის დაზუსტების შესახებ არ დაკმაყოფილდა და მისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაუშვებლად იქნა ცნობილი. შესაბამისად, აპელანტების მოთხოვნა მათთვის დროებითი საცხოვრებელი სადგომის გამოყოფის შესახებ პალატას არ განუხილავს.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა აფხაზეთიდან დევნილების -ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-იას და სხვათა წარმომადგენელმა მ.პ-აიამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინებების გაუქმება და შეგებებული სარჩელის ნაწილში საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს უნდა დაედგინა: იყო თუ არა წარმოდგენილი შუამდგომლობა მოთხოვნის დავის საგნის შეცვლაზე ან გარიგებაზე; თანახმა იყო თუ არა მოწინააღმდეგე მხარე ამაზე და ასეთი თანხმობის მიღების შემთხვევაში სასამართლოს უნდა განეხილა შეგებებული სარჩელი მოთხოვნა ასეთი ფორმულირებით: ან დავის საგნის შეცვლის, ან მიზანშეწონილი იყო თუ არა, გადიდების შემთხვევაში სასამართლოს განეხილა აღნიშნული მოთხოვნა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანს შეგებებულ სარჩელზე არსობრივად წარმოადგენდა დევნილთათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფა სახელმწიფოს მიერ მათ წინაშე ნაკისრი კანონისმიერი ვალდებულებების საფუძველზე. ასეთ საცხოვრებელ ფართად მათ მიიჩნიეს ის სახელმწიფო ფართი, რომელიც მათ ეკავათ ქ. თბილისის



მერიის მიერ სარჩელის აღძვრის დროისათვის. საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის დროისათვის სარჩელის აღძვრიდან (2003 წლის 3 ნოემბერი) შუამდგომლობის წარდგენამდე (2006 წლის 28 ივნისი) მომხდარი ფაქტობრივი და სამართლებრივი ცვლილებების გამო აპელანტები იძულებულები გახდნენ მიემართათ სააპელაციო საჩივრის დაზუსტებისათვის საკუთარი სასიცოცხლო უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნით.

კერძო საჩივრის ავტორის მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სავალდებულო მითითებები.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებზე: საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1992 წლის 30 დეკემბრის განკარგულება "საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციებისა და სტიქიის შედეგად, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სოციალური დაცვის და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ"; საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 2 ოქტომბრის განკარგულება "აფხაზეთიდან ლტოლვილთა და მებრძოლთა გამოყვანის და განთავსების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ"; საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის #900 დადგენილება "იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სოციალური მოწყობის, სრულყოფისა და მათი მშობლიურ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ორგანიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 29 მარტის განკარგულება "აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამის დამტკიცების შესახებ"; საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ"; 1996 წლის 28 ივნისის საქართველოს კანონი "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა შესახებ"; საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის #643 ბრძანებულება "აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ"; საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 5 იანვრის ბრძანებულება; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციის მე-2, მე-3, მე-6, მე-8 და მე-13 მუხლები.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრის განხილვისას როგორც ახსნა-განმარტების ისე პაექრობის სტადიაზე, სწორედ ამ საფუძვლებით იქნა განმარტებული შეგებებული საჩივრის ნაწილის მოთხოვნები, მათ მხოლოდ დაემატა მითითება საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 6 მაისის დადგენილებაზე "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა დროებითი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ".

კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოთხოვნა არ იყო წარმოდგენილი ახალი სამართლებრივი საფუძვლებით, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ახალი მოთხოვნის ახალი სამართლებრივი საფუძვლებით წარდგენა შეესაბამებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის იმდროინდელ რედაქციას.

კერძოს საჩივრის ავტორის მოსაზრებით, დაზუსტებული მოთხოვნა აკმაყოფილებდა აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლით განსაზღვრულ შეგებებული სარჩელის მიღების წინაპირობებს: ეს მოთხოვნა მიმართული იყო პირვანდელი მოსარჩელის ქ.თბილისის მერიის-დევენილთა თავშესაფრით უზრუნველყოფაზე ვალდებული პირის წინააღმდეგ, წარმოადგენდა აპელანტთა პირვანდელი სარჩელისაგან თავის დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სრულიად აშკარა იყო ურთიერთკავშირი პირვანდელ და შეგებებულ სარჩელს შორის და დავა უფრო სწრაფად გადაწყდებოდა, რადგან დაცული იქნებოდა სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების შემთხვევაში-დევენილთა უფლებები, რომელთაც საფრთხეს უქადის ქ.თბილისის მერიის უკვე დაკმაყოფილებული სარჩელის აღსრულება.

კერძო საჩივარში ასევე ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებებისა და სახელმწიფოს მიერ მათ წინაშე ნაკისრის ვალდებულების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა: სააპელაციო საჩივრის დაუმჯობესად ცნობის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინების გაუქმება და დროებითი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ შეგებებული სარჩელის ნაწილში სარჩელის დასაშვებად ცნობა; აფხაზეთიდან დევნილების ა. ა-იას, გ. გ-ავას, მ. გ-იას და სხვების დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინების გაუქმება; შეგებებული სარჩელის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განსახილველად საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნება.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ აფხაზეთიდან დევნილების -ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-იას და სხვათა წარმომადგენლის მ. კ-აიას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელი უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლზე (შუამდგომლობის წარდგენის მომენტისათვის მოქმედი რედაქცია), რომლის თანახმად დავის საგნის შეცვლა ან გადიდება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე თანახმა იქნება ამაზე, ან სააპელაციო სასამართლო ამას მიზანშეწონილად ცნობს. იგივე წესი გამოიყენება შეგებებული სარჩელის აღძვრისა და ხარჯების განსაზღვრისას.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შეგებებული სარჩელის საგანს წარმოადგენდა აფხაზეთიდან დევნილ ა.ა-აიას, გ.გ-ავას, და სხვ. ქ.თბილისში, ... .. მრ/რ-ში მდებარე მშენებარე #... კორპუსში მათ მიერ დაკავებული ფართის მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით გამოყოფა. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებული იყო სახელმწიფოს ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები. სააპელაციო სასამართლოში შეცვლილი შეგებებული სარჩელის მოთხოვნას კი წარმოადგენს დროებითი სარგებლობისათვის ახალი საცხოვრებელი სადგომის გამოყოფა, რომლის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია საქართველოს კანონი "იძულებითი გადაადგილებულ პირთა -დევნილთა შესახებ" და საქართველოს პარლამენტის დადგენილება "იძულებითი გადაადგილებულ პირთა -დევნილთა დროებით საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ".

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული შეგებებული სარჩელი, თავისი არსით, განეკუთვნება არა სარჩელის დაზუსტების მიზნით წარდგენილ განცხადებას ან შუამდგომლობას დავის საგნის გაზრდის შესახებ, არამედ ახალ სარჩელს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, შუამდგომლობის წარდგენის მომენტისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის რედაქციით სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაიშვებოდა დავის საგნის შეცვლა, მაგრამ მათი მოთხოვნა არ თავსდება პირვანდელი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის ჩარჩოებში და იგი არსებითად ახალ სარჩელს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია და იგი არ არის ვალდებული დაუშვას დავის საგნის შეცვლა (გადიდება), თუ, მისი აზრით, ასეთი შეცვლა სარგებლობას მოუტანს საქმის განხილვას და საბოლოოდ გადაწყვეტას და არ გამოიწვევს პროცესის გაჭიანურებას. იგივე წესები გამოიყენება და იგივე პირობებია საჭიროა შეგებებული სარჩელის სააპელაციო სასამართლოში წარდგენისა და განხილვისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ დაზუსტებული სარჩელის წარდგენის გზით განხორციელებული საპროცესო მოქმედება განეკუთვნებოდა არა სარჩელის დაზუსტების ან დავის საგნის გადიდების მოთხოვნით აღძრულ შუამდგომლობას, არამედ ახალი სასარჩელო მოთხოვნების წარდგენას სააპელაციო სასამართლოში, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად დაუშვებელია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს კანონის მოთხოვნები არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს შეგებებული სარჩელის დაზუსტების ნაწილში აფხაზეთიდან დევნილების ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-იას და სხვათა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტზე, რომლის თანახმად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა

შესაძლებელია იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით აფხაზეთიდან დევნილების -ა.ა-აიას, გ.გ-ავას, მ. გ-იას და სხვათა წარმომადგენელ მ.პ-აიას შუამდგომლობა შეგებებული სარჩელის მოთხოვნის გაზრდით სააპელაციო საჩივრის დაზუსტების შესახებ არ დაკმაყოფილდა და მისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაუშვებლად იქნა ცნობილი. შესაბამისად მოთხოვნა მათთვის დროებითი საცხოვრებელი სადგომის გამოყოფის შესახებ სააპელაციო პალატას არ განუხილავს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე კი ძირითადი მოთხოვნის სასამართლოს მიერ განხილვა საქმეზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს კანონის მოთხოვნები არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს დამატებითი გადაწყვეტილების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. არ დაკმაყოფილდეს აფხაზეთიდან დევნილების: ა. ა-აიას, გ. გ-ავას, მ. გ-იას და სხვათა (26 პირის) წარმომადგენლის მ. პ-აიას კერძო საჩივარი;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **4. საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა**

### **განჩინება**

#ბ-3744-25(ა-08)

19 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ცისკაძე

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 29 ოქტომბერს ი/მ "დ. ჩ-შვილმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 5 ოქტომბრის #05/2091 ბრძანების, 2007 წლის 8 ოქტომბრის #1232 საგადასახადო მოთხოვნისა და 2007 წლის 1 ოქტომბრის ი/მ "დ. ჩ-შვილის" გეგმიური საგადასახადო შემოწმების აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი/მ "დ. ჩ-შვილის" სასარჩელო განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 5 ოქტომბრის #05/2091 ბრძანება, 2007 წლის 8 ოქტომბრის #1232 საგადასახადო მოთხოვნა და 2007 წლის 1 ოქტომბრის ი/მ "დ. ჩ-შვილის" გეგმიური საგადასახადო შემოწმების აქტი 3000 ლარის დარიცხვის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის საგადასახადო ინსპექციამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) იქნა მიჩნეული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 30 ივლისს, საკასაციო საჩივარი კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს უზენაეს სასამართლოში ფოსტის მეშვეობით წარადგინა 2008 წლის 4 სექტემბერს, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ერთთვიანი ვადის დარღვევით, რის გამოც საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა ყოფილიყო დატოვებული.

2008 წლის 18 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) ფოსტის მეშვეობით განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) ხსენებულ განცხადებას დაურთო შპს "საქართველოს ფოსტის" ქვითრების ქსეროასლი.

განმცხადებლის განმარტებით, მას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 30 ივლისს. განცხადებაზე დართული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შეკვეთილი წერილების რეესტრისა და #000012 ფოსტის ქვითრის ასლით დასტურდებოდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრის შემცველი #29 გზავნილი თელავის ფოსტაში წარადგინა 2008 წლის 1 სექტემბერს და არა 2008 წლის 4 სექტემბერს, ხოლო, რამდენადაც 2008 წლის 30 აგვისტო იყო უქმე დღე (შაბათი), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გასაჩივრების ვადის ბოლო დღედ ჩაითვლებოდა მომდევნო პირველი სამუშაო დღე, ანუ 2008 წლის 1 სექტემბერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) მიუთითა, რომ მას არ დაურღვევია გადაწყვეტილების (განჩინება) საკასაციო წესით გასაჩივრების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა, რის გამოც მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის #ბს-1277-1239(კ-08) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის

საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის #ბს-1277-1239(კ-08) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებად იქნა ცნობილი და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 19 თებერვალს, მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) განცხადებას, შემოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების სამართლებრივი საფუძველი, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის განჩინების ასლი ჩააბარდა 2008 წლის 30 ივლისს, საკასაციო საჩივრის შემცველი #29 გზავნილი კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) თელავის ფოსტას ჩააბარა 2008 წლის 1 სექტემბერს, რაც დასტურდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) განცხადებაზე დართული შპს "საქართველოს ფოსტის" #000012 ქვითარზე დასმული შტამიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, ვინაიდან 2008 წლის 30 ივლისი იყო უქმე დღე (შაბათი), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გასაჩივრების ვადის ბოლო დღედ ჩაითვლება მომდევნო პირველი სამუშაო დღე, ანუ 2008 წლის 1 სექტემბერი. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) არ დაურღვევია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა, რადგან მან დროულად ჩააბარა საკასაციო საჩივარი თელავის ფოსტას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას (განჩინება) სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) განცხადება საფუძვლიანია, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს საქმის წარმოება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის #ბს-1277-1239(კ-08) განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს წარმოება;

3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნეს მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი;

4. მხარეებს უფლება აქვთ, მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წარმოადგინონ მოსაზრება, თუ რამდენად დასაშვებია განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით;

5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობა შემოწმდეს 2009 წლის 19 მარტამდე;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

### განჩინება

#ბს-1213-1175(კს-08) 14 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

#### აღწერილობითი ნაწილი:

17.03.08წ. გადაწყვეტილებით ზ. თ-ძის, ხ. თ-ძის და ბ. თ-ძის სასარჩელო განცხადება ქ. ბათუმის მერიის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.07.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარს განესაზღვრა ხარვეზი, აპელანტებს მიეცათ 10 დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.09.08წ. განჩინებით ზაურ თ-ძის, ხ. თ-ძის და ზორის თ-ძის სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველად. ზ. თ-ძეს დაუბრუნდა 13.08.08წ. გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, 794.15 ლარი. სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტებმა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი გამოასწორეს საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, 13.08.08წ-ს, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ზ. თ-ძემ, ხ. თ-ძემ და ბ. თ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ ხარვეზის შესახებ სასამართლოს განჩინება 04.08.08წ. და არა 02.08.08წ. ჩაჰბარდათ. აღნიშნული დასტურდებოდა შპს "სკს-ს" ადმინისტრატორის 22.09.08წ. ცნობით. ხარვეზის გამოსწორების შესახებ მათი განცხადება ფოსტას 13.08.08წ., ამდენად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გადაეცა. შესაბამისად, არ არსებობდა მათი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. კერძო საჩივრის ავტორები თვლიან, რომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ტერიტორიაზე მითითებულ პერიოდში არსებული საომარი მდგომარეობა და საპატიოდ ჩაუთვალოს ვადის გაცდენა, თუკი მათ მიერ გაშვებული იქნა ხარვეზით დადგენილი ვადა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. თ-ძის, ხ. თ-ძის და ბ. თ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.07.08წ. განჩინებით აპელანტებს ზ. თ-ძეს, ხ. თ-ძეს და ბ. თ-ძეს განესაზღვრათ განჩინებით დადგენილი ხარვეზის შესავსებად 10 დღე განჩინების ასლის ჩაბარებიდან, ხოლო ამავე სასამართლოს 03.09.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული. სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზი აპელანტების მიერ გამოსწორებულ იქნა სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით უტყუარად არ დასტურდება დადგენილი ვადაში აპელანტების მიერ ხარვეზის გამოსწორებლობის ფაქტი. საქმის მასალებში დაცული "გზავნილების ჩაბარების შესახებ" შეტყობინების ბარათის თანახმად, ზ. თ-ძეს განჩინება ჩაბარებული აქვს 02.08.08წ., ხოლო ამავე დასტურზე, ფოსტის ბეჭედზე მითითებულია 04.08.08წ. კერძო საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილი ფოსტის 22.09.08წ. ცნობის თანახმად, შპს "სკს-ს" საკურიერო სამსახურისაგან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გზავნილი ზ. თ-ძემ ჩაიბარა 04.08.08წ.-ს, ქ. ბათუმში, ... ქ. #40, ბ. #13-ში, ხოლო დასტურზე დაფიქსირებული თარიღი კურიერის მიერ ბინაზე დატოვებული შეტყობინების დროა, ვინაიდან პიროვნება არ იმყოფებოდა სახლში. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ხარვეზი აპელანტებმა 13.08.08წ. გამოასწორეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი საკითხის გადასაწყვეტად საქმეზე დადგენილი უნდა იქნეს ხარვეზის შესახებ სასამართლოს ზ. თ-ძისათვის გადაცემის თარიღი. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს "გზავნილების ჩაბარების შესახებ" შეტყობინების ბარათი, შპს "სკს-ს" 22.09.08წ. ცნობა, საფოსტო გზავნილების ჩაბარების სარეგისტრაციო ჟურნალი და აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების შესაბამისად გადაწყვიტოს ზ. თ-ძის, ხ. თ-ძის და ბ. თ-ძის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. თ-ძის, ხ. თ-ძის და ბ. თ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 03.09.08წ. განჩინება და საქმე ზ. თ-ძის, ხ. თ-ძის და ბ. თ-ძის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად გადაეცეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე**

#### **განჩინება**

#ბს-80-78(კს-09)

10 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 7 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გ. ბ-ძის მიმართ და მოითხოვა კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მოპასუხისათვის 2623,71 ლარისა და 219,05 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 აგვისტოს განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

მეთა კოლეგიის 2006 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით საქმე გადაეგზავნა უფლებამოსილ -ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის გასაჩივრებული გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა საქმის მასალებში მითითებულ მისამართზე 2008 წლის 24 ნოემბერს და ჩაჰბარდა 2008 წლის 26 ნოემბერს. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა -ვ. ჯ-მემ სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 15 დეკემბერს და იგი გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს. საქმეში არ არის წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ფოსტის მეშვეობით გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12.1 მუხლით და დადასტურებულად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით მხარეებს მისი გასაჩივრების წესი და ვადა განემარტათ მითითებული მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სსსკ-ის 369.1, 59-ე, 63-ე მუხლებით და დადგინდად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგინილი წესით, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება ჰქონდა 2008 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა 2008 წლის 15 დეკემბერს, 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინების გაუქმება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სააპელაციო საჩივრის სსსკ-ის 369-ე მუხლით დადგინილი 14-დღიანი ვადის დარღვევით შეტანის შესახებ და მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის განჩინება სსსკ-ის 61.3 მუხლის შესაბამისად, საფოსტო განყოფილებაში შეტანილ იქნა 2008 წლის 10 დეკემბერს, რაც დასტურდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმისწარმოების დეპარტამენტის რეესტრით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება და საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393-ე, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან კერძო საჩივრის ავტორის მიერ წამოყენებულია დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მხარეებს ადმინისტრაცი-



ული საპროცესო კოდექსის 12.1 მუხლის მოთხოვნათა დაცვით განემარტათ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის დენა დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტათ გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, მხარეებს განემარტათ გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა, მაგრამ არ განემარტათ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი -სსსკ-ის 364-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის გზით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას არ გამოიყენა კანონი -ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12.2 მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რადგან მითითებული ნორმის თანახმად, თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ, ან ეცნობა ამავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, გასაჩივრება შეიძლება სასამართლო აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში. ამასთან, აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 13.2 მუხლით დადგენილი საპროცესო ვალდებულების შესრულება -სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო აქტის მხარეთათვის ჩაბარება.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს ასევე არ უმსჯელია და არ გამოუკვლევია ის გარემოება, რომ საქმის მასალების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება პირველად გაეგზავნა 2007 წლის 2 აპრილს, მაგრამ საქმეში არ არის წარმოდგენილი გადაწყვეტილების ჩაბარების ან ჩაუბარებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საქმის მასალების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის 20 ნოემბერს მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ინფორმაციის მიწოდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადების მსვლელობის შესახებ, მიღებულ იქნა თუ არა გადაწყვეტილება და მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, საადსრულებო ფურცლის გაცემა, თუმცა საქმის მასალების თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის სხდომას ესწრებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი -ნ. ყ-ძე და მისთვის ცნობილი იყო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

საკასაციო სასამართლოში აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში სასამართლოდან შესული კორესპოდენციათა 2007 წლის აპრილის ჟურნალის ასლი, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის თ. მ-ძის მიმართვის თანახმად, 2007 წლის აპრილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გაგზავნილი სასამართლოს გადაწყვეტილება ადრესატს არ ჩაბარებია.

საქმის მასალების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართვის შემდეგ, 2008 წლის 21 ნოემბერს გაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი და საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების თანახმად, ჩაპბარდა 2008 წლის 26 ნოემბერს და აღნიშნულ ფაქტს არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა ამოიწურა 2008 წლის 10 დეკემბერს.

სააპელაციო სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარეგისტრირდა 2008 წლის 15 დეკემბერს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე დასმული სააპელაციო სასამართლოს შტამპით. საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო საჩივარს დართული არ ჰქონდა საფოსტო კონვერტი, რითაც დადასტურდებოდა სსსკ-ის 61.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის საფოსტო განყოფილების მეშვეობით შეტანის ფაქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა საფოსტო განყოფილების მეშვეობით და ფოსტას სააპელაციო საჩივარი ჩაპბარდა 2008 წლის 10 დეკემბერს, რის დასადასტურებლადაც კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა კორესპოდენციათა ჟურნალის სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე და სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ, გამოიკვლიოს საქმეში წარმოგე-

ნილი მტკიცებულებები, რათა დადგინდეს როდის წარმოემვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საპროცესო უფლებამოსილება -სსსკ-ის 364-ე მუხლის შესაბამისად, წარედგინა სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად, დაცულ იქნა თუ არა მის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რათა მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და სამართლებრივი შეფასების შემდეგ, აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის პირობებში, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის სსსკ-ის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წინაპირობების არსებობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება და საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე**

#### **განჩინება**

#ბს-1678-1632(კს-08) 12 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ცისკაძე

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 1 ივლისს მოსარჩელე ტ. შ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს მიმართ და 2007 წლის 2 აგვისტოს #515 კ/შ დათხოვნის ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მუშაობდა აჭარის შსს მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების ინსპექტორ გამომძიებლის თანამდებობაზე, საიდანაც დათხოვნილ იქნა 2007 წლის 30 ივლისს #1047 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შსს გენერალური ინსპექციის დასავლეთ რეგიონალური სამმართველოს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დასკვნის საფუძველზე. მოსარჩელეს განემარტა, რომ მისი გათავისუფლების საფუძველი გახდა 2007 წლის 3 ივლისს სტრიპ-ტესტების მეშვეობით ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმება, რომელიც არ იყო საიმედო და რომლის დროსაც მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი, რაც, მოსარჩელის განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

მოსარჩელის მტკიცებით, ზემოაღნიშნული გამოკვლევიდან 12 საათის შემდეგ, 2007 წლის 4 ივლისს ქ. ფოთში მდებარე საექსპერტო კრიმინალისტიკურ რეგიონალურ სამსახურში ტ. შ-მემ თვითონ ჩაიტარა გამოკვლევა, სადაც დადასტურდა, რომ ის ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა.

მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარმა სამმართველომ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელის დათხოვნა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით მოხდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ტ. შ-ძის სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოების გამო არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2007 წლის 3 ივლისს სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალურ სამსახურში ჩატარებული გამოკვლევისას ტ. შ-ძეს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი, ხოლო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 13 სექტემბრის #კ-1501/24 დასკვნა არ წარმოადგენდა ტ. შ-ძის ნარკოლოგიური საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამომრიცხავ გარემოებას, რადგან იგი არ ეწინააღმდეგებოდა სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური სამსახურის საექსპერტო დასკვნას. ამდენად, მოსარჩელის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა წარმოადგენდა "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პოლიციის თანამშრომელთათვის შეუფერებელ საქციელს, რაც ითვალისწინებდა პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნას. "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტისა და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" დებულების 69-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ქმედება ითვლებოდა თანამშრომელთათვის შეუფერებელ ქმედებად, რომელიც ლახავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორიტეტს და რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს პოლიციის თანამშრომელთათვის უღირსი საქციელი, დათხოვნილი უნდა ყოფილიყვნენ პოლიციის თანამშრომელთა სახელის დისკრედიტაციისათვის.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. შ-ძემ და აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ტ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება ტ. შ-ძეს გაეგზავნა 2008 წლის 22 სექტემბერს და 2008 წლის 2 ოქტომბერს ჩაჰბარდა ტ. შ-ძის მეუღლეს, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული გზავნილით. აღნიშნული გადაწყვეტილება ტ. შ-ძის წარმომადგენელს, მართალია, ჩაჰბარდა 2008 წლის 24 ოქტომბერს, მაგრამ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლებოდა მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი - წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. ტ. შ-ძეს კი აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. შ-ძემ და აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის განხილვა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ის მუშაობდა სამარშრუტო ავტობუსზე და სახლში იშვიათად მიდიოდა, მისთვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება არავის ჩაუბარებია. მხოლოდ მოგვიანებით, ადვოკატისაგან გახდა მისთვის ცნობილი აღნიშნულის შესახებ და შესაბამისად, 14 დღის ვადაში გაასაჩივრა გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ტ. შ-ძის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 12 თებერვალს, მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ტ. შ-ძის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს დადგინდად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება ტ. შ-ძეს გაეგზავნა 2008 წლის 22 სექტემბერს და 2008

წლის 2 ოქტომბერს ჩაჰბარდა ტ. შ-ძის მეუღლეს, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული გზავნილით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ტ. შ-ძის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილება მას არ ჩაჰბარებია, რადგან ჩაიბარა მისმა მეუღლემ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამხებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას (შეტყობინებას) აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში, განსახილველი ნორმის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამხებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, უწყებას (შეტყობინებას) აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, რომელსაც წარმოეშობა გარკვეული პროცესუალური ვალდებულებები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პირის მიერ მითითებულ მისამართზე მისი არყოფნის შემთხვევაში ამავე მისამართზე სხვა პირის მიერ უწყების (შეტყობინების) ჩაბარება უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი არის გამოსამხებელი პირის ოჯახის წევრი. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ამ პირის მიერ უწყების ჩაბარების მომენტიდან მას წარმოეშობა ამ უწყების (შეტყობინების) ადრესატისათვის გადაცემის ვალდებულება. ოჯახის წევრისათვის უწყების (შეტყობინების) ჩაბარებაზე ვრცელდება პრეზუმფცია, რომელიც გულისხმობს, რომ ოჯახის წევრისათვის უწყების ჩაბარება ნიშნავს მის ჩაბარებას ადრესატისთვის, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დასტურდება მიმღები პირის (ოჯახის წევრის) ხელმოწერით და ადრესატთან დამოკიდებულების მითითებით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ტ. შ-ძის წარმომადგენელს, მართალია, ჩაჰბარდა 2008 წლის 24 ოქტომბერს, მაგრამ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლებოდა მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. ტ. შ-ძეს კი აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, რის გამოც ტ. შ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა :

1. ტ. შ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

#### განჩინება

#ბს-10-10(კს-09)

12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
მ. ცისკაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 4 სექტემბერს გლდანი-ნამალადევის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მოსარჩელე ხ. ჯ-ვამ მოპასუხე მ. ზ-ძის მიმართ და მოითხოვა მ. ზ-ძისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება თბილისში, ... დასახლების კორპ. #202-ის, ბინა 32-დან.

თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით ხ. ჯ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მ. ზ-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ხ. ჯ-ვას სახელზე 1998 წლის 20 ივლისს გაცემული #018090 სამომსახურეო ორდერი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხ. ჯ-ვამ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 14 მაისის განჩინებით ხ. ჯ-ვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

2003 წლის 12 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ.თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეებს: ხ. ჯ-ვასა და მ. ზ-ძის მიმართ სადავო ბინის ორდერის ბათილად ცნობის, მ. ზ-ძის თანმხლებ პირებთან ერთად დაუყოვნებლივ გამოსახლებისა და სადავო ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მესაკუთრედ აღიარების თაობაზე.

ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ხ. ჯ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ბათილა იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის 1998 წლის 20 ივლისს ხ. ჯ-ვაზე გაცემული საცხოვრებელი ბინის ორდერი #018090; მ. ზ-ძე თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნა ქ. თბილისში, ...-ის დასახლების, კორპ. #202, ბინა 32-დან, რომლის მესაკუთრეა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხ. ჯ-ვამ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 17 დეკემბრის განჩინებით ხ. ჯ-ვას სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 4 ივლისის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ქ. თბილისის მერია.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 30 სექტემბრის საოქმო განჩინებით მესამე პირი ქ. თბილისის მერია საქმეში ჩაება მოპასუხედ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ხ. ჯ-ვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გლდანინამალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ხ. ჯ-ვაზე ქ. თბილისში, ...-ის დასახლების კორპ. #202-ის, ბინა#32-ზე გაცემული #018090 სამომსახურეო ორდერი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხ. ჯ-ვამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამართლის 2008 წლის 30 ივლისის განჩინებით ხ. ჯ-ვას სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა ხარვეზზე და მხარეს მიეცა ვადა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღე, წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ხ. ჯ-ვას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად იმ მოტივით, რომ აპელანტის მიერ არ იქნა შევსებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინებით განსაზღვრული ხარვეზი.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ხ. ჯ-ვამ.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხ. ჯ-ვას კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო საჩივარზე ბაჟის გადახდევინება წარმოებს "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

"სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი ესაა საქართველოს ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გადაცემისათვის. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო სასამართლოებში განხილულ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები-ყველა სარჩელზე.

საქმეში არსებული საქართველოს სოციალური დაცვის, შრომის და დასაქმების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ ხ. ჯ-ვა ღებულობს მეორე ჯგუფის ინვალიდობის პენსიას, რაც იმის დასტურია, რომ ხ. ჯ-ვა არის II ჯგუფის ინვალიდი, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პირები, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეული ჯგუფის ინვალიდებს "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად არ თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხ. ჯ-ვას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ხ. ჯ-ვას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინება და ხ. ჯ-ვას სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიღების მიზნით გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე**

**განჩინება**

#ბს-262-252(კს-09) 14 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წეკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 25 იანვარს ნ. ბ-ულმა სარჩელი აღძრა ქ. თბილისის მერიისა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 9 აგვისტოს #00000197 მიწერილობის, 2007 წლის 4 სექტემბრის შემოწმების აქტის, არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის შესახებ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 26 სექტემბრის #00000197 დადგენილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 2007 წლის 21 ნოემბრის #402 განკარგულების ბათილად ცნობა და მოპასუხეების დავალდებულება "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის #140 დადგენილების 20<sup>1</sup>.4 მუხლის შესაბამისად უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის საოქმო განჩინებით ნ. ბ-ულის სარჩელი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 9 აგვისტოს #00000197 მიწერილობის, 2007 წლის 4 სექტემბრის შემოწმების აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალდებულების ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ულის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-ულმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ასევე ნ. ბ-ულის წარმომადგენელმა ნ. ჩ-ელმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება ან ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინებით ნ. ბ-ულის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 369-ე, 374.1 მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტს ჩაპ-

ბარდა 2008 წლის 26 ნოემბერს, სააპელაციო საჩივარი კი შეიტანა 2008 წლის 11 დეკემბერს, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ნ. ბ-ულის წარმომადგენელმა ნ. ჩ-ელმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ნ. ბ-ულის წარმომადგენელმა ნ. ჩ-ელმა სააპელაციო სასამართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით 2008 წლის 9 დეკემბერს, რომელიც სააპელაციო სასამართლოში დარეგისტრირდა 2008 წლის 22 დეკემბერს, რადგან იმყოფებოდა მანგლისში, ხოლო თბილისში დაბრუნების შემდეგ, დამატებით შეიტანა სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, აპელანტს არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა, რადგან სააპელაციო საჩივარი მანგლისის საფოსტო განყოფილებაში შეიტანა 2008 წლის 9 დეკემბერს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ბ-ულის წარმომადგენლის ნ. ჩ-ელის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინება და საქმე ნ. ბ-ულის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393-ე, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან კერძო საჩივრის ავტორის მიერ წამოყენებულია დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ულს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 26 ნოემბერს, სააპელაციო საჩივარი კი სსსკ-ის 374.1 მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით შეიტანა 2008 წლის 11 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სსსკ-ის 374.1 მუხლის იმპერატიული მოთხოვნის დარღვევის შესახებ და მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, რადგან საქმის მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების ასლი 2008 წლის 24 ნოემბერს გაეგზავნათ ნ. ბ-ულსა და მის წარმომადგენელს ნ. ჩ-ელს. გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის თანახმად, გადაწყვეტილების ასლი ნ. ბ-ულს ჩაჰბარდა 2008 წლის 26 ნოემბერს, ხოლო მის წარმომადგენელ ნ. ჩ-ელს - 2008 წლის 25 ნოემბერს. ამდენად, სსსკ-ის 374.1 მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადა სსსკ-ის 70.1 მუხლის შესაბამისად, იწურებოდა 2008 წლის 9 დეკემბერს. საქმეში წარმოდგენილია ორი სააპელაციო საჩივარი, რომელთაგან ერთი შეტანილია ნ. ბ-ულის მიერ სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 11 დეკემბერს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე არსებული შტამპით, ხოლო მეორე სააპელაციო საჩივარი სსსკ-ის 61.3 მუხლის შესაბამისად, შეტანილ იქნა საფოსტო განყოფილებაში ნ. ბ-ულის წარმომადგენლის ნ. ჩ-ელის მიერ 2008 წლის 9 დეკემბერს. აღნიშნული სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში დარეგისტრირდა 2008 წლის 22 დეკემბერს, მაგრამ აღნიშნულზე არ უმსჯელია სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას და 2009 წლის 6 თებერვლის განჩინებით განუხილველად დატოვა ნ. ბ-ულის სააპელაციო საჩივარი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე და სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ, გამოიკვლიოს საქ-



მეში წარმოგენილი მტკიცებულებები, რათა დადგინდეს დაცულ იქნა თუ არა აპელანტის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ბ-ულის წარმომადგენლის ნ. ჩ-ელის კერძო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის შესახებ, რის გამოც კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ნ. ბ-ულის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რათა მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და სამართლებრივი შეფასების შემდეგ, აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის პირობებში, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის სსსკ-ის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წინაპირობების არსებობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ბ-ულის წარმომადგენლის ნ. ჩ-ელის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინება და საქმე ნ. ბ-ულის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე**

#### **განჩინება**

#ბს-369-354(კს-09) 5 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 31 ოქტომბერს ნ. ჭ-ძემ, ქ. მ-შვილმა, ლ. კ-ძემ, შ. გ-ელმა და ლ. ს-ოვამ სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჭ-ძის, ქ. მ-შვილის, ლ. კ-ძის, შ. გ-ელისა და ლ. ს-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა ლ. კ-ძისათვის - 219,96 ლარის, ლ. ს-ოვასათვის - 273,32 ლარის, შ. გ-ელისათვის - 979,91 ლარის, ნ. ჭ-ძისათვის - 294,99 ლარის, ხოლო ქ. მ-შვილისათვის 316,19 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1, 374.1 60.2 მუხლებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 23 დეკემბერს, რაც დასტურდება საფოსტო გზავნილით. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2008 წლის 24 დეკემბერს, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა 2009 წლის 8 იანვარს, სსსკ-ის 369.1 მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩაჰბარდა 2008 წლის 23 დეკემბერს. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაასაჩივრა 2009 წლის 6 იანვარს სააპელაციო საჩივრით 14-დღიანი ვადის დაცვით, რაც დასტურდება ფინანსთა სამინისტროს კორესპოდენციათა შემოსვლის რეესტრის ამონაწერით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393-ე, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან კერძო საჩივრის ავტორის მიერ წამოყენებულია დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია.

საქმის მასალების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა 2008 წლის 17 დეკემბერს და საქმეში წარმოდგენილი გზავნილის თანახმად, ჩაჰბარდა 2008 წლის 23 დეკემბერს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილ გზავნილზე დასმული, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმისწარმოების სამმართველოს ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. აღნიშნულ ფაქტს არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა ამოიწურა 2009 წლის 6 იანვარს.

სააპელაციო სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარეგისტრირდა 2009 წლის 8 იანვარს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე დასმული სააპელაციო სასამართლოს შტამპით და რასაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 374-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას. საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო საჩივარს დართული არ ჰქონდა საფოსტო კონვერტი, რითაც დადასტურდებოდა სსსკ-ის 61.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის საფოსტო განყოფილების მეშვეობით შეტანის ფაქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა საფოსტო განყოფილების მეშვეობით და ფოსტას სააპელაციო საჩივარი ჩაჰბარდა 2009 წლის 6 იანვარს, რის დასადასტურებლადაც კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა შპს "საქართველოს ფოსტის" 2009 წლის 6 იანვრის რეესტრი #2-ით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა სსსკ-ის 369.1 მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადის დაცვით. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რადგან სააპელაციო სასამართლომ

უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის სსსკ-ის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წინაპირობების არსებობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე**

**განჩინება**

#ბს-408-393(კს-09) 6 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სპს "... " 10.12.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის მიმართ. მოსარჩელემ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 03.12.07წ. #05-04/14254 წერილის ბათილად ცნობა და #5261 საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე დარიცხული 81260 ლარისა და საურავის მოხსნა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 06.01.09წ. გადაწყვეტილებით სპს "... " სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სპს "... ".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 29.01.09წ. განჩინებით მიიჩნია, რომ აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ პასუხობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, კერძოდ, არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ბაჟი სააპელაციო საჩივრისთვის შეადგენდა დავის საგნის ღირებულების 4%-ს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. ამდენად, აპელანტს უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი -2337,6 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 7 დღის ვადა. ამასთან განემარტა, რომ მითითებულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მისი სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

სპს "... " 10.02.09წ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით და ხარვეზის შევსების მიზნით წარუდგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთის ასლი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.02.09წ. განჩინებით სპს "... " სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შევსებლობის გამო დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება აპელანტ სპს "... " 02.02.09წ. ჩაჰბარდა. აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა 05.02.09წ., ხოლო გადახდის დამადასტურებელი საბუთი სააპელაციო პალატისთვის 10.02.09წ. იქნა წარდგენილი აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხარვეზის შევსების ვადა აპელანტს ამოეწურა 09.02.09წ. და მის მიერ ხარვეზი აღმოფხვრილ იქნა ერთი დღის დაგვიანებით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დადგენილ ვადაში აპელანტის მიერ ბაჟის გადახდა ვერ ჩაითვლებოდა ხარვეზის შევსებად, რადგან ამისთვის აუცილებელი იყო ბაჟის გადახდის დამადას-

ტურბელი საბუთის სასამართლოსათვის წარდგენა მის მიერ დადგენილ ვადაში -09.02.09წ. დღის 24 საათამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.02.09წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სპს "...".

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.02.09წ. განჩინებით მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი იმ საფუძველით, რომ მან არ შეავსო ხარვეზი. სააპელაციო პალატის მიერ ხარვეზი დადგენილ იქნა ბაჟის გადაუხდელობისა და არა მისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. შესაბამისად, სასამართლოს მიერ 7-დღიანი ვადა მას განესაზღვრა ბაჟის გადასახდელად. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, რადგან სპს "...". მიერ დადგენილ ვადაში 05.02.09წ. იქნა შევსებული ხარვეზი, კერძოდ, გადახდილ იქნა სახელმწიფო ბაჟი, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი განუხილველად დაეტოვებინა მისი სააპელაციო საჩივარი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სპს "...". კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ ხარვეზის შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა განსაზღვროს ის საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულების შედეგადაც ხარვეზი შევსებულად ჩაითვლება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.09წ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, სპს "...". განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში დაევალა ხარვეზის შევსება და არა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთის სასამართლოსთვის წარდგენა. მართალია, აღნიშნული განჩინების სამოტივაციო ნაწილში არის მსჯელობა იმის შესახებ რომ აპელანტმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, მაგრამ, ვინაიდან კონკრეტული მოქმედების შესრულების ვალდებულებას გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი წარმოშობს, ხარვეზის შესავსებად აუცილებელი მოთხოვნის შესახებ სასამართლოს აქტის სწორედ ამ ნაწილში უნდა იყოს აღნიშნული.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება აპელანტს ჩაბარდა 02.02.09წ., ხოლო სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა 05.02.09წ. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. ვინაიდან ხარვეზის შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა მითითებას იმის შესახებ, რომ მხარეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა წარედგინა, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, დადგენილ ვადაში ხარვეზის შევსებლობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სპს "...". კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.02.09წ. განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. სპს "...". კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.02.09წ. განჩინება;

2. საქმე სპს "...". სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

### განჩინება

#ბს-525-496(კს-09)

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 31 ოქტომბერს ლ. გ-ურმა, ს. თ-შვილმა, ო. გ-ოვამ, ა. კ-იამ და ნ. ა-ძემ სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. გ-ურის, ს. თ-შვილის, ო. გ-ოვას, ა. კ-იასა და ნ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა ლ. გ-ურის სასარგებლოდ -301,78 ლარის, ს. თ-შვილისათვის -298,66 ლარის, ო. გ-ოვასათვის -321,94 ლარის, ა. კ-იასათვის -336,25 ლარის და ნ. ა-ძისათვის -304,66 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 მარტის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1, 374.1, 59.1, მე-60, 61-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2009 წლის 12 თებერვალს, რაც დასტურდება საფოსტო გზავნილით. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2009 წლის 13 თებერვალს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დასრულდა 2009 წლის 26 თებერვალს, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა 2009 წლის 27 თებერვალს, სსსკ-ის 369.1 მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 მარტის განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩაჰბარდა 2009 წლის 12 თებერვალს. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაასაჩივრა 2009 წლის 26 თებერვალს სააპელაციო საჩივრით 14-დღიანი ვადის დაცვით, რაც დასტურდება ფინანსთა სამინისტროს კორესპოდენციათა შემოსვლის რეესტრის ამონაწერით.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 16 მარტის განჩინება და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393-ე, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან კერძო საჩივრის ავტორის მიერ წამოყენებულია დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია.

საქმის მასალების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა 2009 წლის 6 იანვარს და საქმეში წარმოდგენილი გზავნილის თანახმად, ჩაპბარდა 2009 წლის 12 თებერვალს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილ გზავნილზე დასმული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმისწარმოების სამმართველოს ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. აღნიშნულ ფაქტს არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა ამოიწურა 2009 წლის 26 თებერვალს.

სააპელაციო სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარეგისტრირდა 2009 წლის 27 თებერვალს, რაც დასტურდება სააპელაციო საჩივარზე დასმული სააპელაციო სასამართლოს შტამპით და რასაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 374-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას. საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო საჩივარს დართული არ ჰქონდა საფოსტო კონვერტი, რითაც დადასტურდებოდა სსსკ-ის 61.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის საფოსტო განყოფილების მეშვეობით შეტანის ფაქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა საფოსტო განყოფილების მეშვეობით და ფოსტას სააპელაციო საჩივარი ჩაპბარდა 2009 წლის 26 თებერვალს, რის დასადასტურებლადაც კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა შპს "... " 2009 წლის 26 თებერვლის რეესტრი #37.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა სსსკ-ის 369.1 მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადის დავით. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რადგან სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის სსსკ-ის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წინაპირობების არსებობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 მარტის განჩინება და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

### განჩინება

№ბს-608-576(კს-09)

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 3 დეკემბერს ც. ფ-ძემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ქ. ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვა "მერიის ადმინისტრაციულ შენობაში სასაშვო სისტემის დაწესების შესახებ" ქ. ქუთაისის მერის 2001 წლის 10 დეკემბრის #708 განკარგულების არარად აღიარება შემდეგი საფუძვლით:

2008 წლის 10 დეკემბერს ქ. ქუთაისის მერმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის მუშაკთა საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და ეფექტიანობის, მოქალაქეთა და ქალაქის სამსახურების წარმომადგენელთა, მერიის წარმომადგენელთა მერიის მუშაკებთან ურთიერთობის უკეთესი ორგანიზებისათვის შემუშავდა სათანადო რეგლამენტი, რომლის მიხედვით, ქ. ქუთაისის მერიაში დაინერგა სასაშვო სისტემა, რომელსაც დაექვემდებარა როგორც ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული სამსახურების თანამშრომლები, ასევე, მოქალაქეების და სხვა სამსახურების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. განკარგულების მე-9 პუნქტის შესაბამისად, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეები დაიშვებიან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და საშვის წარდგენის შემთხვევაში.

მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული განკარგულება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის - ქ. ქუთაისის მერის მიერ, რადგან მერიის შენობაში სასაშვო სისტემის შემოღება უნდა მომხდარიყო ნორმატიული აქტით, რომლის გამოცემაც მხოლოდ საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება, თანახმად, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონისა.

მოსარჩელის მითითებით, მოქალაქეებს სურთ განახორციელონ თავიანთი კანონიერი ინტერესები, ისარგებლონ საჯარო ინფორმაციით, დაეხსნათ საჯარო სხდომებს, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების პროექტების წინასწარ განხილვაში, მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირებს, ხოლო აღნიშნული სისტემის შემოღებით, მოქალაქეები იზღუდებიან მითითებული უფლებების განხორციელებისას.

ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენელმა არ ცნო ც. ფ-ძის სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით, კერძოდ, მოპასუხის მითითებით, სადავო განკარგულება წარმოადგენს არა ნორმატიულ, არამედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან აწესებს პირთა შეზღუდული წრის უფლება-მოვალეობებს, შესაბამისად, მისი გამოცემის უფლება "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 26.1 მუხლის "ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, აქვს ქ. ქუთაისის მერს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით ც. ფ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ფ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით ც. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება და ც. ფ-ძის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ც. ფ-ძის აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელი აღძვრის იმ უფლების დასაცავად, რომელსაც მომავალში შესაძლოა დაემუქროს საფრთხე. აღიარებითი სარჩელის წარდგენისას სახეზე უნდა იყოს პირის უფლების დარღვევის რეალური საშიშროე-

ბა. მოსარჩელის მხრიდან ასეთი სარჩელის აღძვრისადმი კანონიერი ინტერესი დასაბუთდება სწორედ უფლების ან კანონიერი ინტერესისადმი მოსალოდნელი საფრთხის არსებობით, ხოლო უკვე დარღვეული უფლების აღსადგენად უნდა აღიძვრას შეცილების ან მავალდებულებელი სარჩელი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ც. ფ-ძე აღიარებითი სარჩელის მიმართ კანონიერ ინტერესს ასაბუთებს იმით, რომ ხელი ეშვება მერიის შენობაში თავისუფლად შესვლაში. იგი აპირებს დავას ქ. ქუთაისის მერიის მიმართ, საცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რის გამოც ესაჭიროება დოკუმენტების გამოთხოვა მერიის სამსახურებიდან, შესაბამისად, აუცილებელია პირადად გამოცხადდეს მითითებულ სამსახურებში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღიარებითი სარჩელი უშუალოდ არ იწვევს დავის გადაწყვეტას, ამგვარი სარჩელის აღძვრით მიღწეული შედეგი შეიძლება საფუძვლად დაედოს დავის გადაწყვეტას. აღიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ უფლების დაცვის მიღწევა შეუძლებელია სარჩელის სხვა სახის, მათ შორის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-24-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელების შეტანის საფუძველზე.

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ დასაშვებია, თუ აღნიშნული აქტის საფუძველზე წარმოშობილი რაიმე უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობით მოსარჩელის კანონიერ უფლებებს მიადგება ზიანი და ამ უფლების დაცვის მიზნით შეუძლებელია სხვა სახის სარჩელის აღძვრა. მხოლოდ აღიარებითი სარჩელის შეტანის გზით უფლების დაცვის მიმართ მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს სამართლებრივი ინტერესი - ასეთი ინტერესი უნდა არსებობდეს აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ. აღიარებითი სარჩელის შეტანით დავის გადაწყვეტა მხარისათვის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს. იგი უნდა ქმნიდეს უფლების თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რომელიც დაირღვა მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გამო.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს სურს გარკვეული დოკუმენტების გამოთხოვა მერიის შენობაში განთავსებული სხვადასხვა სამსახურიდან, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღიარებითი სარჩელის აღძვრისადმი პირდაპირ და უშუალო კავშირში მყოფ იურიდიულ ინტერესად, რაც განაპირობებს უფლების დაცვის მიზნით სწორედ ამ სახის სარჩელის შეტანის აუცილებლობას. კანონმდებლობით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოდან დოკუმენტების გამოთხოვისა და მიღების წესი, შესაბამისად, განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა-მიღების წესი და ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ამგვარი ინფორმაციის ან სხვა სახის დოკუმენტის გაცემაზე დაბრკოლების შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ც. ფ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინების გაუქმება და სარჩელის დასაშვებობის სტადიიდან საქმის განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რადგან ც. ფ-ძეს სადავო ადმინისტრაციული აქტის არარად აღიარების მიმართ გააჩნია კანონიერი ინტერესი, რის გამოც სარჩელზე საქმის წარმოება არ უნდა შეწყვეტილიყო.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში აღიარებითი სარჩელი დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა. საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ანიჭებს მოქალაქეს უფლებას ყოველგვარი ნებართვისა და საშვის გარეშე ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მომსახურებით, დაესწროს საკრებულოს სხდომებს, გაეცნოს ადგილზე საჯარო ინფორმაციას. სასაშვისე სისტემის დანერგვით, შესაძლებელია მოქალაქეზე არ იქნას დაშვებული საშვი, რაც გამოიწვევს უფლების დარღვევას, შესაბამისად, ც. ფ-ძეს აქვს კანონიერი ინტერესი, სადავო განკარგულება გამოცხადდეს არარად, რადგან ასეთ პირობებებში იგი ყოველგვარი შეზღუდვის, დაბრკოლების გარეშე ისარგებლებს მისთვის მინიჭებული უფლებით.

ც. ფ-ძის კერძო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ -ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენელმა, მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გამოტანილია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და მხარეთა განმარტებების მოსმენისა და კერძო საჩივრის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ც. ფ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინება სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:



სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები, სააპელაციო სასამართლომ კანონის არასწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არასწორი განჩინება დაადგინა, დასაბუთებულია კერძო საჩივრის მოტივები საპროცესო დარღვევების შესახებ, რაც სსსკ-ის 393-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი, რის გამოც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დასკვნას აღიარებითი სარჩელის დაუშვებლად მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უფლების პროცესუალური დაცვის სამართლებრივ საშუალებას, სარჩელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს აღიარებითი სარჩელი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.1 მუხლის შესაბამისად, აღიძვრება აქტის არარად აღიარების, ან უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის მიზნით, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, კერძოდ, აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ც. ფ-მე ითხოვდა ქ. ქუთაისის მერის 2001 წლის 10 დეკემბრის #708 განკარგულების არარად აღიარებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ სადავო განკარგულება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ქ. ქუთაისის მერის მიერ, რადგან სადავო აქტი წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რისი გამოცემის უფლებაც ქ. ქუთაისის მერს არ ჰქონდა.

ამდენად, მოსარჩელეს გააჩნდა ვარაუდი, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.2 მუხლის დანაწესი არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, თუ არსებობს მავალდებულებელი სარჩელის აღძვრის წინაპირობა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში, რა სახის სარჩელი უნდა იქნეს აღძრული, მხარის ნებაზე დამოკიდებული და სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას უნდა დადგინდეს, არსებობს აღიარებითი სარჩელის, თუ სხვა სახის სარჩელის აღძვრის საფუძველები და თუ აღნიშნული საკითხის დადგენის შედეგად სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს აღიარებითი სარჩელის და იკვეთება სხვა სახის ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის წინაპირობა, აღნიშნული არ წარმოადგენს სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძველს, რადგან სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, შესაძლებლობა აქვს მოსარჩელეს დაეხმაროს მოთხოვნის ტრანსფორმაციაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტება არ შეესაბამება ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის - აქტის არარად აღიარების სამართლებრივ ბუნებას და აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღიარებითი სარჩელი აქტის არარად აღიარების შესახებ დასაშვებია, თუ უფლების დაცვის მიზნით შეუძლებელია სხვა სახის სარჩელის აღძვრა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია და შეეფასებინა კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე თუ 22-ე-24-ე მუხლებით განსაზღვრული სარჩელის წარდგენის წინაპირობა, ანუ იკვეთებოდა აქტის არარად აღიარების თუ მისი კანონსაწინააღმდეგობის საფუძველები და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინა დასკვნა სარჩელის დასაშვებობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ც. ფ-მის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელი დასაშვებია, თუ აქტის საფუძველზე წარმოშობილი რაიმე უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობით მოსარჩელის კანონიერ უფლებას მიადგება ზიანი და ამ უფლების დაცვა შეუძლებელია სხვა სახის სარჩელის აღძვრით. ის გარემოება, რომ მოსარჩელეს სურს გარკვეული დოკუმენტების გამოთხოვა მერიის შენობაში განთავსებული სხვადასხვა სამსახურებიდან, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღიარებითი სარჩელის აღძვრისადმი პირდაპირ და უშუალო კავშირში მყოფ იურიდიულ ინტერესად, რაც განაპირობებს უფლების დაცვის მიზნით სწორედ ამ სახის სარჩელის შეტანის აუცილებლობას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ც. ფ-მის აღიარებითი სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძველად მიიჩნია არა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა ამგვარი სარჩელის აღძვრისადმი კანონიერი ინტერესის არსებობას, არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის

25.2 მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის წინაპირობის არარსებობა, რომ სახეზე იყო არა ამ სახის, არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-24-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრის წინაპირობა. ანუ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო უფლების ამ გზით და არა სხვა სახის სარჩელის აღძვრით დაცვის აუცილებლობის მტკიცება, რომ მისი ინტერესის დაცვისათვის განმსაზღვრელი იყო მხოლოდ აღიარებითი და არა სხვა სახის სარჩელის აღძვრა. სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25.2 მუხლის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძვლის არსებობა დაასაბუთა იმით, რომ საჯარო ან სხვა სახის ინფორმაციის მიღებაზე დაბრკოლების შექმნის შემთხვევაში, მოსარჩელეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ადგენს ინფორმაციის მიღების წესსა და ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას, შეუძლია დაიცვას თავისი დარღვეული უფლება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას და მიაჩნია, რომ იგი ემყარება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის არასწორ განმარტებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ამდენად, არარა აქტის გამოცემა ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი მავალდებულეულ სარჩელთან შედარებით, სამართლებრივი შედეგის მნიშვნელობის თვალსაზრისით, უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ შეუძლებელია მისი გამოცემაში ორგანოს დადგენა; გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

არარა აქტი გამოცემისთანავე არარაა, ვერ ახდენს იურიდიულ ზემოქმედებას, ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, არ შეუძლია შეცვალოს სამართლებრივი მდგომარეობა. შესაბამისად, თუ არსებობს აქტის არარად მიჩნევის სამართლებრივი საფუძველი, რაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპზე, აღარ არსებობს მისი კანონსაწინააღმდეგობის მტკიცების საჭიროება. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღიარებითი სარჩელი აქტის არარად აღიარების შესახებ დასაშვებია, თუ უფლების დაცვის მიზნით შეუძლებელია სხვა სახის სარჩელის აღძვრა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის არასწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არასწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე, რის გამოც კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინება სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე არსებითად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე, 419-420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. ფ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინება;
3. საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს;
4. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

### განჩინება

#ბს-777-741(კს-09)

13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საქმის წარმოების შეწყვეტა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 ივლისს ე. ხ-იამ სარჩელი აღძრა მარტვილის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების -ნ. ხ-იასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 6 თებერვალს მოპასუხე ნ. ხ-იას მიერ ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე 0,35 ჰა მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულ იქნა კანონმდებლობის უხეში დარღვევით. ნ. ხ-იას დედა -დ. ქ-ია არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოსარჩელის ძმასთან -ა. მ-იასთან. 1990 წელს დ. ქ-იამ ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე მოკლა მოსარჩელის დედა -ნ. მ-ია, რომლის სახელზეც ირიცხებოდა სადავო ქონება და მიიძალა, ხოლო შემდგომში იგი დაკავებულ იქნა, განაჩენის გამოტანამდე კი, დ. ქ-ია პატიმრობისას გათხოვდა. მოსარჩელის დედის -ნ. მ-იას გარდაცვალების შემდეგ, 1990 წელს ხსენებული ქონება ჩაიბარა მოსარჩელემ, რომლის მოვლა-პატრონობას მოსარჩელე იმ დრომდე განაგრძობდა. მოპასუხე ნ. ხ-იას, არქივიდან წარმოდგენილი ცნობის გარდა, იმის შესახებ, რომ იგი ჩაწერილი იყო ქ. მარტვილში, ... ქ. #141-ში, დასახელებულ მიწის ნაკვეთთან 1990 წლის შემდეგ არანაირი შეხება არ ჰქონია და პირიქით, სამკვიდრო გახსნილ იქნა მოსარჩელის მიერ. დედის დაკრძალვისა და სხვა საჭირო ხარჯები მოსარჩელემ გაიღო, იგი მითითებულ მისამართზე ლეზულობდა ყველა ოფიციალურ დოკუმენტს, ამუშავებდა მიწას, იქვე გახსნილი ჰქონდა სახელოსნო და ამუშავებდა ხის მასალას.

მოსარჩელემ სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე, როგორც გარდაცვლილი ნ. მ-იას შვილი, იყო I რიგის მემკვიდრე. იმავე კოდექსის 1337-ე მუხლის მიხედვით, წინა რიგის თუნდაც ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავდა შემდეგი რიგის მემკვიდრეობას. ხსენებული კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლებოდა, როდესაც იგი შეუდგებოდა ქონების მართვას ან ფლობას. აღნიშნული უდავოდ მოწმობდა, რომ მოსარჩელემ სამკვიდრო მიიღო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე 0,35 ჰა მიწის ნაკვეთის ნ. ხ-იას სახელზე რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება; სადავო 0,35 ჰა მიწის ნაკვეთის თავის საკუთრებად აღიარება.

2008 წლის 12 სექტემბერს ე. ხ-იამ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა მარტვილის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების -ნ. ხ-იას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ. მოსარჩელემ მიუთითა იმავე გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე, რაც მითითებული ჰქონდა სარჩელში და მოითხოვა: მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე 0,35 ჰა მიწის ნაკვეთზე ნ. ხ-იას სახელზე 2008 წლის 5 თებერვალს გაცემული #46 საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმება; მარტვილის საკრებულოს საკომლო წიგნიდან, ქ. მარტვილში, ... ქ. ...-დან ნ. ხ-იას ამოწერა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურში 2008 წლის 6 თებერვალს ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე 0,35 ჰა მიწის ნაკვეთის ნ. ხ-იას სახელზე რეგისტრაციის, როგორც უკანონოს, გაუქმება; სადავო 0,35 ჰა მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული სახლის მოსარჩელის საკუთრებად აღიარება.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 სექტემბრის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში თანამოპასუხეებად ჩაბმულ იქნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახური.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე მოსარჩელე ე. ხ-იას წარმომადგენელმა დ. ჯ-იამ დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნაწილში ერთ-ერთი მოპასუხის ნაცვლად, დაზუსტების სახით, მოპასუხედ მიუთითა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიაზე.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. ხ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ე. ხ-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი -100 ლარი.

რაიონულმა სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა ნ. ხ-იას მამას -ზ. ხ-იას, რომელიც ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე კომლში იყო ჩაწერილი, ხოლო საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოსარჩელის დედის -ნ. მ-ია-ხ-იას აღნიშნულ კომლში ჩაწერის ფაქტი. ნ. ხ-ია-მ-ია გარდაიცვალა 1990 წელს.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 12 იანვრის #48 დადგენილების საფუძველზე, განხორციელდა მიწის რეფორმა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, მათზე არსებული შენობა-ნაგებობებით, მოსახლეობას გადაეცა 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კომლების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ნ. მ-ია-ხ-ია ვერ იქნებოდა სადავო ქონების მესაკუთრე, რადგან იმ დროს იგი გარდაცვლილი იყო. მარტვილის მიწის გადასახადის გადამხდელთა სიაშიც მიწის გადასახადის შეტანის დღიდან მითითებული იყო ზ. ხ-ია. საქმის მასალებით ასევე დასტურდებოდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 12 იანვრის #48 დადგენილების ამოქმედების პერიოდისათვის, კომლის წევრად ჩაწერილი იყო ნ. ხ-ია თავის მამასთან -ზ. ხ-იასთან ერთად.

რაიონულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, I რიგის მემკვიდრის არსებობა გამორიცხავდა სამკვიდროზე სხვა რიგის მემკვიდრის უფლებას. დადგენილი იყო, რომ ნ. ხ-ია იყო I რიგის მემკვიდრე, ხოლო მოსარჩელე ე. ხ-ია -II რიგის მემკვიდრე. ვინაიდან ზ. ხ-იას ადგილსამყოფელი მრავალი წლის განმავლობაში დაუდგენელი იყო, მისი კანონით მემკვიდრე გახდა მისი შვილი -ნ. ხ-ია, რომელიც ამავე დროს მამამისთან ერთად იყო კომლში ჩაწერილი, რომლის სახელზეც იყო ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. სასამართლო სხდომაზე მოპასუხე ნ. ხ-იას მიერ მიცემული განმარტებით დადგენილი იყო, რომ 14 წლის წინ მისი მამა -ზ. ხ-ია გავიდა სახლიდან და არ დაბრუნებულა, ხოლო სადავო სახლი ააშენეს მისმა მშობლებმა, მისი ბებია -ნ. მ-ია კი ცხოვრობდა სხვაგან -მარტვილის რაიონის სოფ. ...-ში. თვითონ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი #86 ცნობითაც ასევე დადასტურებული იყო, რომ ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე კომლში ჩაწერილი იყო ნ. ხ-ია, ხოლო მანამდე, კომლში ჩაწერილი იყო ზ. ხ-იაც. #329 საარქივო ცნობით დადასტურებული იყო, რომ ქ. მარტვილის საკრებულოს საკომლო წიგნები გადასინჯული იყო 1980-2006 წლებში და ... ქუჩის არც ერთ წიგნში არ ირიცხებოდა ნ. მ-ია-ხ-ია. აქვე გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ნ. ხ-ია იმიტომ ვერ შეუდგა ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე ქონების ფლობასა და მართვას, რომ ე. ხ-იამ არ მისცა ამის საშუალება და, ფაქტობრივად, იგი თვითონ შეუდგა ზემოაღნიშნული ქონების ფლობასა და მართვას.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, სადავო ქონებაზე სხვა რიგის მემკვიდრის მიერ სარჩელის აღძვრა გამორიცხული ყო, ვინაიდან დადგენილი იყო, რომ I რიგის მემკვიდრე იყო ნ. ხ-ია. მოსარჩელე ე. ხ-ია წარმოდგენდა II რიგის მემკვიდრეს და იგი არ იყო უფლებამოსილი პირი, დავის საგანზე აღძვრა სარჩელი. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ხ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, მათ შორის, სახელმწიფო ბაჟის -100 ლარის მისთვის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინებით ე. ხ-იას და მისი წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გაუქმდა მარტვილის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება და სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. მ-ია გარდაიცვალა 1990 წელს. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს -მარტვილის არქივის 2008 წლის 29 თებერვლის #86 ცნობიდან ირკვეოდა, რომ ქ. მარტვილის საკრებულოს 1980-2006 წლების საკომლო წიგნების გადასინჯვით, ... ქ. #42-ში ირიცხებოდა ნ. ზ. ასული ხ-ია. ზ. კ. ძე ხ-ია წინა გვერდზე ამომლილი იყო და მითითებული იყო -"დაკარგულია უგზო-უკვლოდ". ამავე არქივის 2008 წლის 16 სექტემბრის #329 ცნობით დგინდებოდა,

რომ ნ. მ-ია, საკომლო წიგნების მიხედვით, ქ. მარტვილში, ... ქუჩის მაცხოვრებლად არ ირიცხებოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ე. ხ-ია სარჩელსა და დაზუსტებულ სარჩელში მიუთითებდა, რომ ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა მის დედას -ნ. მ-ია-ხ-იას, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მისი ქონება მან ჩაიბარა და იმ დრომდე განაგრძობდა მის მოვლა-პატრონობას. საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში არსებული უძრავი ქონება საკუთრების ან სხვა ფორმით ეკუთვნოდა გარდაცვლილ ნ. მ-ია-ხ-იას. დგინდებოდა, რომ ხსენებული ქონება ეკუთვნოდა ზ. ხ-იას და მასთან ერთად კომლში ჩაწერილი იყო მისი შვილი -ნ. ხ-ია. მართალია, საქმეში არ იყო ზ. ხ-იას უგზო-უკვლოდ დაკარგვის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილება, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებებით, კერძოდ, სარჩელის შინაარსით დგინდებოდა, რომ ნ. მ-იას გარდაცვალების დროიდან სადავო ქონება ჩაიბარა ე. ხ-იამ, ანუ ამ თარიღიდან ზ. ხ-ია სახლიდან წასული იყო ისე, რომ მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. საქმეში ასევე არ იყო არანაირი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ზ. და ნ. ხ-იებს სადავო უძრავ ნივთზე მიტოვებული ჰქონდათ საკუთრების უფლება. საკომლო წიგნის მიხედვით, ზ. ხ-იას კომლი, სადაც ასევე ჩაწერილი იყო მისი შვილი -ნ. ხ-ია, გაუქმებული არ იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. ხ-იას სარჩელის, ასევე, დაზუსტებული სარჩელის მოთხოვნები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების თაობაზე, დაუშვებელი იყო, რადგან მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა, რომ სწორედ მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს პირდაპირი ან უშუალო ზიანი მიადგა. იმის გათვალისწინებით, რომ ე. ხ-ია უკანონოდ დაეუფლა ზ. ხ-იას ქონებას და მრავალი წლის განმავლობაში ფლობდა მას, მოცემულ შემთხვევაში, არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მისი ქმედება მიჩნეულიყო კანონშესაბამისად, რამეთუ ამის სამართლებრივი საფუძველები არ არსებობდა. ამდენად, ე. ხ-იას არ გააჩნდა კანონისმიერი სასარჩელო უფლებამოსილება, რადგან აღნიშნულ დავის საგანთან მიმართებით, მას ინდივიდუალური ზიანი არ ადგებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს არ გააჩნდა სასარჩელო უფლებამოსილება, მისთვის პირდაპირი ან უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებლობის გამო, ე. ხ-იას სარჩელზე საქმის წარმოება უნდა შემწყდარიყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ე. ხ-იასთვის სახელმწიფო ბაჟის უკანონოდ დაკისრების ნაწილში, მართებული იყო, რადგან ე. ხ-ია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. ხ-იას წარმომადგენელმა დ. ჯ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განსჯადობის მიხედვით, საქმის ხელახლა განსახილველად მარტვილის რაიონული სასამართლოსთვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. თუ სადავო ქონება ნ. ხ-იას ეკუთვნოდა, მაშინ რატომ მიატოვა მან აღნიშნული ქონება უმეტესად 19 წლის განმავლობაში და თუ ხსენებული ქონება არსებობს, აღნიშნული მხოლოდ ზ. ხ-იას ძმის -ე. ხ-იას დამსახურებაა, მით უმეტეს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბოლო ორი წლის განმავლობაში დასახელებული ქონება მას გაქირავებული ჰქონდა. ჩაწერა არ წარმოადგენს ქონების კუთვნილების დამადასტურებელ დოკუმენტს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ შეიძლება საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, არც მისი გაუქმება შეიძლება ამ აქტით. გარდა ამისა, არც ნ. ხ-ია და არც მისი მამა -ზ. ხ-ია რეგისტრირებული არ არიან მარტვილის საკრებულოს მიწების აღრიცხვის ზონარგაყრილ წიგნში და საგადასახადო სამსახურში როგორც გადამხდელები, აგრეთვე, არ არსებობს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სანოტარო წესით დამოწმებული გადაწყვეტილება მიწის ნ. ხ-იასთვის გადაცემის შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, რაც შეეხება საკომლო წიგნში გაურკვეველ დროსა და გაურკვეველ ვითარებაში, გაურკვეველი პირის მიერ გაკეთებულ ჩანაწერს ზ. ხ-იას უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, უგზო-უკვლოდ დაკარგულად გა-

მოცხადება ხდება მხოლოდ სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ხსენებული საექვო ჩანაწერი სრულებით არ ნიშნავს პირის კომლიდან ამოწერას, ვინაიდან მასში მითითებული არ არის უფო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების იურიდიული საფუძველი -რის საფუძველზე მოხდა ჩანაწერის გაკეთება. აღნიშნულ ჩანაწერს ხელს არ აწერს ჩანაწერის შემსრულებელი პირი, თანამდებობის მითითებით და რაც მთავარია, იმდროინდელი კანონის თანახმად, შესაბამის გრაფაში არ არის დასმული სპეციალური შტამპი ამოწერის შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1996 წელს მარტვილის საკრებულოს დარბევის შედეგად, მთლიანად განადგურდა იქ არსებული დოკუმენტაცია, მანამდე 1992 წელს კი მარტვილის რაიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად განადგურდა ცენტრალური არქივი. სასამართლომ არ დააკვირებია სასამართლო სხდომაზე ამ მხარის სპეციალური წერილობითი განცხადება საკომლო წიგნის სასამართლო სხდომაზე დათვალერების შესახებ, საქმეს კი, ამავე მხარისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, საკომლო წიგნის საექვო ჩანაწერის მხოლოდ ქსეროასლი დაერთო, რამაც ამ მხარეში დატოვა საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ჩანაწერი დაინტერესებული პირის მიერ სპეციალურად იქნა გაკეთებული. ადრე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაბის (ქლაქის) ტერიტორიაზე, ტექნიკური ნახაზისა და სპეციალური წიგნაკის გარეშე, რაიმე სახის მშენებლობის წარმოება აკრძალული იყო. სწორედ ნ. მ-იას სახელზე გაცემული ხსენებული წიგნაკი დაეწვა ე. ხ-იას, რომელსაც საცხოვრებელი სახლი გაუნადგურდა ხანძრის შედეგად. როდესაც მიდის მსჯელობა იმაზე, რომ სადავო სახლში ნ. მ-ია, თითქოსდა არ იყო ჩაწერილი, ზედმეტი არ იქნებოდა, ამ მხარის თხოვნის თანახმად, მეტი დამაჯერებლობისათვის მოწინააღმდეგე მხარეს წარმოედგინა ოფიციალური დოკუმენტი იმის თაობაზე, თუ სად იყო ჩაწერილი ნ. მ-ია.

კერძო საჩივრის ავტორი სასამართლოს არც იმაში ეთანხმება, რომ, თითქოს ე. ხ-ია სადავო სახლში უკანონოდ იყო შეჭრილი. ე. ხ-ია დაეუფლა ნ. მ-იას დანაშთ ქონებას, რომელიც გამოყოფილი იყო ძირითადი სახლიდან, სადაც მან შვილი დატოვა და ამ სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობა სწორედ ე. ხ-იამაც მიიღო, ხოლო დედის გარდაცვალების შემდეგ, უკლიდა და ინახავდა ამ ქონებას, რაც სერიოზულ ხარჯებს მოითხოვდა. გარდა ამისა, ნ. მ-იას დაკრძალვის, საფლავის კეთილმოწყობისა და რიტუალებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გაღებულ იქნა სწორედ ე. ხ-იას მიერ. ამდენად, არ იყო ზედმეტი, რომ სასამართლოს დაედგინა, თუნდაც ნადია მასხულიას ჩაწერის ადგილი, ასევე, დაედგინა თუ სად ცხოვრობდა იგი სიცოცხლის ბოლო პერიოდში, სად გარდაიცვალა, სად გადაუხადეს სამოქალაქო პანაშვიდი და სად დაკრძალეს. საქმეზე დართული სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ოფიციალური ცნობით დასტურდება, რომ მოწინააღმდეგე მხარის (ნ. ხ-იას) მშობლები -ზ. ხ-ია და დ. ქ-ია იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში და ამდენად, ისინი ამ ქონებაზე პრეტენზიას, თუნდაც იმის გამო ვერ განაცხადებდნენ, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1309-ე მუხლის თანახმად, ქორწინებისგარეშე შობილი ბავშვი არ შეიძლება ჩაითვალოს მამის მემკვიდრედ, თუ მამობა დადგენილი არ არის კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, ე. ხ-იამ უდავოდ დაიცვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი, როდესაც იგი შეუდგა გარდაცვლილი დედის ქონების მართვასა და ფლობას. წინააღმდეგობრივია იმის მტკიცება, რომ ქონების წილობრივ შემქმნელსა და მის შემნარჩუნებელ ე. ხ-იას, დავის საგანთან მიმართებაში, ინდივიდუალური ზიანი არ ადგება, მაშინ, როდესაც ქონება მიეკუთვნა იმ პირს, რომელსაც საერთოდ არ უცხოვრია სადავო სახლში 19 წლის განმავლობაში, ვინაიდან მათ მიიჩნიეს, რომ ქონებაზე არანაირი პრეტენზია არ ჰქონდათ და დატოვეს ხსენებული კარმიდამო.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ასევე გაურკვეველია, რატომ არ დააყენა ექვქვემ სარეგისტრაციო სამსახურმა ნ. ხ-იას საკუთრების მოწმობა, რომელიც მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის მიერ იქნა გაცემული და რა კავშირი ჰქონდა ხსენებულ კომისიას იმ მიწის ნაკვეთის გაფორმებასთან, რომელიც სახელმწიფოს არ ეკუთვნოდა და ამ მიწასთან რა კავშირში იყო "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 12 იანვრის #48 დადგენილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით, ე. ხ-იას წარმომადგენელ დ. ჯ-იას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ე. ხ-იას წარმომადგენელ დ. ჯ-იას კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუ-

თებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი:

მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ 1990 წლიდან სადავო ქონებას ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში ფლობს ე. ხ-ია, რომელიც დღემდე განაგრძობს მის მოვლა-პატრონობას. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ქონება გარდაცვალებამდე ეკუთვნოდა დედამისს -ნ. მ-ია-ხ-იას და მისი გარდაცვალების შემდეგ იგი დაეუფლა დედის სამკვიდრო ქონებას როგორც პირველი რიგის მემკვიდრე. მოსარჩელე ითხოვს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2008 წლის 5 თებერვალს გაცემული #46 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობას, რომლითაც ნ. ხ-იას საკუთრებაში გადაეცა ქ. მარტვილში, ... ქ. ...-ში მდებარე 0,35 ჰა მიწის ნაკვეთი, სადავო ქონებასთან მიმართებით ნ. ხ-იას მარტვილის საკრებულოს საკომლო წიგნიდან ამოწერას, მიწის შესაკუთრედ აღიარებას და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილების განხორციელებას. სასამართლო განხილვისადმი მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების დადგენა, რომლებიც მოსარჩელის მოსაზრებით ზიანს აყენებს მისი სამკვიდრო უფლების რეალიზებას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ხ-იას არ გააჩნდა კანონისმიერი სასარჩელო უფლებამოსილება, რადგან დავის საგანთან მიმართებით მას არ ადგებოდა ზიანი, რასაც საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება და განმარტავს შემდეგს: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, პროცესუალური უფლება სარჩელზე უშუალოდ უკავშირდება სარჩელზე უფლებას მატერიალური თვალსაზრისით. უდავოდ დადგენილია, რომ სარჩელის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს აქტის კანონიერება, რომელიც ეხება მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობის მიღებით წარმოშობილ საკუთრების უფლებას. ამდენად, სახეზეა ადმინისტრაციული აქტით მოსარჩელის კანონით დაცულ უფლებაზე პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ვარაუდი და ინტერესი სასამართლო წესით აღდგენილ იქნეს კანონით მინიჭებულ უფლებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ სარჩელის დაუშვებლობით მოსარჩელეს ერთმევა პროცესუალური შესაძლებლობა, უზრუნველყოს საკუთარი უფლებების დაცვა.

ამდენად, ე. ხ-იას კერძო საჩივარი არის საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ხ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

### განჩინება

#ბს-1014-972(კს-09)

16 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

#### აღწერილობითი ნაწილი:

რ. ხ-შვილმა 12.03.09წ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სატყეო დეპარტამენტის წინააღმდეგ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ სამსახურიდან გათავისუფლების სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის 16.12.08წ. #07/129კ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.04.09წ. გადაწყვეტილებით რ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი რ. ხ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის 16.12.08წ. #07/129კ ბრძანება, რ. ხ-შვილი აღდგენილ იქნა იმავე თანამდებობაზე და სატყეო დეპარტამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სატყეო დეპარტამენტმა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.06.09წ. განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სატყეო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუმშავებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 369-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა სააპელაციო წესით უნდა გაასაჩივრონ კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში, აღნიშნული ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და მისი დენა იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.04.09წ. გადაწყვეტილების ასლის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სატყეო დეპარტამენტისთვის 19.05.09წ. ჩაბარება დადასტურებული იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი ბეჭდით. სატყეო დეპარტამენტისთვის ვადის დენა დაიწყო 20.05.09წ.-დან და დამთავრდა 02.06.09წ. 24 საათზე. აპელანტმა სააპელაციო საჩივარი 03.06.09წ. შეიტანა. სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სატყეო დეპარტამენტის მიერ დარღვეული იქნა სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19.06.09წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სატყეო დეპარტამენტმა. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.04.09წ. გადაწყვეტილების ასლი 19.05.09წ. ჩაჰბარდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და არა სატყეო დეპარტამენტს. სატყეო დეპარტამენტი წარმოადგენს აღნიშნული სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც სამინისტროსგან დამოუკიდებლად ახორციელებს საჯარო ფუნქციებს. სატყეო დეპარტამენტს კი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.04.09წ. გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 20.05.09წ., გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო 21.05.09წ. და მთავრდებოდა 04.06.09წ. 24 საათზე. შესაბამისად, მათი სააპელაციო საჩივარი წარდგენილია კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დაცვით.



### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –სატყეო დეპარტამენტის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.04.09წ. გადაწყვეტილების ასლი 18.05.09წ. გაეგზავნა და 19.05.09წ. ჩააბარდა არა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –სატყეო დეპარტამენტს, არამედ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარეს არ წარმოადგენდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –სატყეო დეპარტამენტის მიმართ, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილება გადაეგზავნა სამინისტროს მიერ და დეპარტამენტის კანცელარიას ჩააბარდა 20.05.09წ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სატყეო დეპარტამენტი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 30.01.07წ. #76 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების –სატყეო დეპარტამენტის დებულების თანახმად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფო წარმომადგენლობა სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში. სსკ-ის 73.8 მუხლის შესაბამისად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩააბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში –ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.04.09წ. გადაწყვეტილების საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კანცელარიისათვის ჩაბარება ამავე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებისთვის ჩაბარებად ვერ ჩაითვლება. დეპარტამენტის კანცელარიას გზავნილი მხოლოდ 20.05.09წ. გადაეცა. საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დეპარტამენტისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაიწყო 21.05.09წ. და სააპელაციო საჩივარი შეტანილი იქნა 03.06.09წ., საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული 14-დღიანი ვადის დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –სატყეო დეპარტამენტის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.06.09წ. განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –სატყეო დეპარტამენტის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.06.09წ. განჩინება;

2. საქმე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

### განჩინება

#ბს-1290-1234 (კს-09) 27 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 11 თებერვალს ს., ნ. და ე. თ-შვილებმა სარჩელით მიმართეს თელავის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 22 დეკემბრის რეგისტრაციის გაუქმება ი. თ-შვილის სახელზე და ასევე მის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმება დ. თ-შვილის სახელზე.

თელავის სარეგისტრაციო სამსახურმა არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ ...-ის ქ. #15-ში მდებარე უძრავი ქონების 2/6 ი. თ-შვილის სახელზე რეგისტრირებულია 1990 წლის 26 ივნისის #581 გადაწყვეტილების საფუძველზე. 2006 წლის 28 დეკემბერს კი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე რეგისტრაცია განხორციელდა დ. თ-შვილის სახელზე.

2009 წლის 23 მარტის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო დ. თ-შვილი.

დ. თ-შვილმა არ ცნო ს., ნ. და ე. თ-შვილების სარჩელი და მოითხოვა მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, რადგან იგი განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით.

თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს: ს., ნ. და ე. თ-შვილებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ს., ნ. და ე. თ-შვილებმა და მოითხოვეს თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მარეგისტრირებული ორგანოს 2006 წლის 22 დეკემბრის უძრავი ქონების რეგისტრაციის გაუქმება და ამ აქტის საფუძველზე დარეგისტრირებული ყველა ჩანაწერის გაუქმება. აპელანტებმა სასამართლოს წინაშე დააყენეს შუამდგომლობა სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით. ვინაიდან, ს. თ-შვილი იყო უმუშევარი, ხოლო მისი შვილები: ნ. და ე. -სტუდენტები და არ გააჩნდათ მატერიალური შესაძლებლობა, სასამართლოს თხოვეს ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით ს., ნ. და ე. თ-შვილების სააპელაციო საჩივარი დარჩა ხარვეზზე და აპელანტებს დაევალიათ 10 საპროცესო დღის ვადაში დაეზუსტებინათ, თუ რა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველებით ითხოვდნენ ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებას და წარმოედგინათ აღნიშნულის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები ან/და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2009 წლის 22 ივნისის აპელანტებმა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს სსსკ-ის 47-ე მუხლის საფუძველზე ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლება ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლოში მათ წარადგინეს სტუდენტის მოწმობის ასლები და სპირიდონ თ-შვილის გარდაცვალების მოწმობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით ს., ნ. და ე. თ-შვილებს გაუგრძელდათ საპროცესო ვადა 10 დღით, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტებს სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობის უტყუარი მტკიცებულებები არ წარუდგინათ სასამართლოში და დაევალიათ ან ასეთი უტყუარი მტკიცებულების წარდგენა და ან ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

2009 წლის 9 ივლისს ს., ნ. და ე. თ-შვილების წარმომადგენელმა ა. ლ-იამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის განჩინებით ს., ნ. და ე. თ-შვილების სააპელაციო საჩივარი თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილის განჩინებაზე დარჩა განუხილველი, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ივნისისა და 23 ივნისის განჩინებებით

განსაზღვრული ხარვეზი აპელანტმა არ შეავსო და არ წარადგინა უტყუარი მტკიცებულებები (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან უმუშევრობის ცნობა, ინფორმაცია ქონებრივი მდგომარეობის შესახებ), რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებობს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან/და გადავადების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, ხოლო ის გარემოება, რომ ს. თ-შვილი არის ქვრივი, ხოლო ნ. და ე. თ-შვილები არიან სტუდენტები, სასამართლომ არ მიიჩნია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან/და გადავადების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველად. ამასთანავე აპელანტმა არ წარადგინეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ ს., ნ. და ე. თ-შვილების სააპელაციო საჩივარი თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაზე დატოვა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს., ნ. და ე. თ-შვილების წარმომადგენელმა ა. ლ-იამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის განჩინების გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში.

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13 ივლისის განჩინებით იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი. სასამართლომ არ გამოიყენა აღნიშნული სამართლებრივი ნორმები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის საფუძველზე სადავო განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საფეხბურთო კლუბი "მრეტები" საქართველოს წინააღმდეგ), სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ბაჟის გადაუხდელობის გამო საქმის განუხილველობით კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით მხარეს ეზღუდება სამართლიანი სასამართლოს უფლება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ს., ნ. და ე. თ-შვილების წარმომადგენელ ა. ლ-იას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ ობიექტურად არ შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები და არ გაითვალისწინა აპელანტების მატერიალური მდგომარეობა, რითაც მათ შეუზღუდა სასამართლოს ხელმისაწვდომის უფლება.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათ დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ყველასათვის უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რაც თავისთავად მოიცავს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებასაც.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

კონსტიტუციის მე-7 მუხლით სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ხოლო 42-ე მუხლის თანახმად ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლის შესატყვისად სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება აღიარებულია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლით. შე-

საბამისად, ეროვნული სასამართლოები, როგორც ამ სტანდარტის შესრულების და დაცვის უზრუნველყოფი ორგანოები, ვალდებული არიან, ობიექტურად და მიუკრემდობლად განიხილონ ამგვარი შემთხვევები, რათა პირებს არ შეეზღუდოთ ამ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საპროცესო სამართლის აღიარებულ დებულებას, რომ სარჩელი წარმოადგენს დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალებას.

სსსკ-ის V თავის ნორმების მიხედვით, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებისათვის დადგენილი ხარჯების, ოდენობის, მათი ანაზღაურების წესსა და პირობებს.

პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად, მოსაპოვებლად) გაწეულ (გასაწევ) ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა.

ყველა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, შემცირების ან გადავადების შესაძლებლობას მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ შესაძლებლობას ადგენს 47-ე და 48-ე მუხლებით. კერძოდ, 47-ე მუხლი სასამართლოს უფლებას ანიჭებს მოქალაქე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებისაგან, 48-ე მუხლით კი გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მხარისათვის ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადება, ანდა მათი ოდენობის შემცირება. აღნიშნული შედეგების არსებობა ქმნის საფუძველს, რომ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ გადაუხდელობამ, ანუ მატერიალურმა უსახსრობამ არ დააბრკოლოს და მხარეს არ წაართვას დარღვეული უფლების აღდგენისა და პროცესუალური საშუალებით დაცვის შესაძლებლობა.

საქმის მასალების თანხმად, სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით აპელანტებს: ს., ნ. და ე. თ-შვილებს დაუდგინა ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად 10-დღიან საპროცესო ვადაში დაავალა ბაჟის გადახდის გათავისუფლების საფუძველების არსებობის უტყუარი მტკიცებულებების ან/და ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა. 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით საპროცესო ვადა აპელანტებს გაუგრძელდა 10 დღით.

2009 წლის 13 ივლისის განჩინებით კი სასამართლომ აპელანტებს უარი უთხრა ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადებაზე და სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ აპელანტებმა არ წარადგინეს უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებობს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან/და გადავადების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, ხოლო ის გარემოება, რომ ს. თ-შვილი არის ქვრივი და ნ. და ე. -სტუდენტები, არ წარმოადგენს ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ან/და გადავადების სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს., ნ. და ე. თ-შვილებმა სააპელაციო სასამართლოს საკმარისი მტკიცებულებები წარუდგინეს თავიანთი გადახდისუუნარობის შესახებ. წარდგენილი მტკიცებულებებისა და ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს არ უნდა შეეზღუდა აპელანტებისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა სტრასბურგის ევროპულმა სასამართლომ (2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე საფეხბურთო კლუბი "მ-ი" საქართველოს წინააღმდეგ) დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რაც გამოიხატა სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე დაუსაბუთებელი უარის თქმით.

"კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ყველასთვის უზრუნველყოფს უფლებას, ნებისმიერი საჩივრით მიმართოს სასამართლოს განმცხადებლის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით (სეე *თელტრონიც-ჩათ V ვ. პოლანდ*, ნო. 48140/99, §§ 45 ანდ 64, 10 *ქანუარე 2006; გოლდერ ვ. ტჰე უნიტედ კინგდომ*, *ჯუდგმენტ* ოფ 21 *ფებრუარე 1975*, შერიეს A ნო. 18, პპ. 13-18, §§ 28-36). ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ თავის იურისდიქციაში უზრუნველყონ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის კონვენციის მე-6 მუხლის ფუნდამენტური გარანტიები სააპელაციო სასამართლოებში, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებში (სეე *ბრუალა ნემეხ დე ლა თორრე ვ. შპაინ*, *ჯუდგმენტ* ოფ 19 *დეცემბერ 1997*, *ლეპორტს* ოფ *ჯუდგმენტს ანდ დეცისიონს 1997-VIII*, პ. 2955, § 33; *თინელდოე & შონს L ტდ ანდ ოტკერს ანდ მცელოდუფფ ანდ ოტკერს ვ. ტჰე უნიტედ კინგდომ*, *ჯუდგმენტ* ოფ 10 *ჟულე 1998*, *ლეპორტს 1998-IV*, პ. 1660, § 72).

ბაჟის გონივრულობა უნდა განიხილებოდეს საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს აპლიკანტის გადამხდელუნარიანობას, ასევე, განხილვების სტა-

დას, როცა ასეთი შეზღუდვა წარმოიშვა (სეე *კრეუზ*, ციტედ აბოვე, §§58-60). უფრო მეტიც, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და თუკი არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის (*ჭეისმან ანდ ოტკერს*, ციტედ აბოვე, §36).

ზემოხსენებული განხილვების გათვალისწინებით და მთლიანად საქმეზე არსებული ფაქტების შეფასებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ვერ დაიცვა შესაბამისი ბალანსი, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ინტერესებსა, რომელიც შეეხებოდა სასამართლო ბაჟის გონივრულად განსაზღვრას, ხოლო მეორეს მხრივ აპლიკანტის ინტერესებს შორის, როდესაც იგი თავის პოზიციებს იცავდა სასამართლო ინსტანციებში.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი დარღვევას რაც გამოიხატა სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე დაუსაბუთებელი უარით.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ბიუჯეტში თანხა გადახდილად ითვლება, თუ ის ასახვას ჰპოვებს ეროვნული ბანკის მიერ გახსნილ სახაზინო ანგარიშზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დღგ-ს ჩათვლების განხორციელება, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 14 ივლისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 2 ოქტომბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც ი/მ "ვ. თ-ანს" აღუდგა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის -სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი, მიხედვით დარიცხული დღგ, განსახილველად იქნა დაშვებული და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 27 ნოემბერს, 11.30 საათზე; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა იმავე დღეს, მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო დაშვებულ ნაწილში გაეცნო საქმის მასალებს, ამ ნაწილში შეამოწმა საჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ამავე ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც ი/მ "ვ. თ-ანს" აღუდგა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის -სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი, მიხედვით დარიცხული დღგ, საქმე განსახილველად იქნა დაშვებული, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება, ამიტომ საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ საგადასახადო ან-



გარიშ-ფაქტურის -სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი, მიხედვით დარიცხული დღგ-ს ჩათვლის აღდგენის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოცემული საქმის მასალებში წარმოდგენილ სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე, რომლის მიხედვითაც, ი/მ "ვ. თ-ანმა" (მყიდველი) სს "ქ. შ-საგან" (გამყიდველი) შეიძინა შაქარი. სს "ქ. შ-ის" გენერალური დირექტორის 2006 წლის 9 თებერვლის #55 წერილში ქუთაისის საგადასახადო ინსპექციისადმი აღნიშნულია, რომ 2000 წლის 12 სექტემბერს სს "ქ. შ-ის" მიერ ამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა -სერია აა-99, #191155 ი/მ "ვ. თ-ანის" სახელზე და მასში მითითებული დღგ -2666,67 ლარი სს "ქ. შ-ის" მიერ დეკლარირებული და გადახდილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში 2000 წლის სექტემბერში.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997 წ.) 114-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებაზე, რომლის თანახმად, დღგ-ს ჩათვლას დაექვემდებარებოდა საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ს თანხა. ამდენად, საქართველოს ბიუჯეტში დღგ-ს თანხის გადახდა სავალდებულო პირობას წარმოადგენდა დღგ-ს ჩათვლის მისაღებად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო პრეტენზია იმის შესახებ, რომ არაპირდაპირი გადასახადების სამმართველოს ინფორმაციით, სერია აა-99, #091155 ანგარიშ-ფაქტურაზე კომპიუტერულ ბაზაში მონაცემები არ არსებობდა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე საქმის მასალების გამოკვლევისას, არ დადასტურდა, მაგრამ საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ხსენებული მუხლების მიხედვით, არ გამოიკვლია და არ დაადგინა ამ ანგარიშ-ფაქტურით დღგ-ს ჩათვლის აღდგენისთვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოება -გადახდილი აქვს თუ არა რეალურად სს "ქ. შ-ს" საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში -სერია აა-99, #191155 მითითებული დღგ -2666,67 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში და შესაბამისად, არსებობს თუ არა მოსარჩელე ი/მ "ვ. თ-ანისთვის" ამ თანხის -2666,67 ლარის დღგ-ს ჩათვლის აღდგენის სამართლებრივი საფუძველი, ანუ შესრულებულია თუ არა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების აუცილებელი პირობა დღგ-ს ჩათვლის მისაღებად. ამდენად, მოსარჩელე ი/მ "ვ. თ-ანისთვის" საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში -სერია აა-99, #191155 მითითებული დღგ-ს თანხის -2666,67 ლარის ჩათვლის აღდგენისათვის დაცული უნდა იყოს აღნიშნული პირობა -ხსენებული თანხა დღგ-ს ჩათვლას დაექვემდებარება, თუ იგი გადახდილია საქართველოს ბიუჯეტში, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ი/მ "ვ. თ-ანის" სარჩელი ამ ნაწილში იქნება უსაფუძვლო. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურასთან -სერია აა-99, #091155 მიმართებაში, მთავარი და არსებითი მნიშვნელობის მქონე იყო არა იმის გარკვევა და დადგენა, არსებობდა თუ არა ამ ანგარიშ-ფაქტურაზე კომპიუტერულ ბაზაში მონაცემები, არამედ -ამავე ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ს თანხა -2666,67 ლარი გადახდილი ჰქონდა თუ არა საქონლის გამყიდველს -სს "ქ. შ-ს" საქართველოს ბიუჯეტში და რომელი მტკიცებულებით დასტურდებოდა მისი გადახდა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადგენად არ გამოდგება თვითონ საქონლის გამყიდველის -სს "ქ. შ-ის" გენერალური დირექტორის 2006 წლის 9 თებერვლის #55 წერილი ქუთაისის საგადასახადო ინსპექციისადმი, სს "ქ. შ-ის" მიერ ი/მ "ვ. თ-ანის" სახელზე ამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში -სერია აა-99, #191155 მითითებული დღგ-ს თანხის -2666,67 ლარის სს "ქ. შ-ის" მიერ დეკლარირებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის თაობაზე.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაშვებულ ნაწილში ეთანხმება კასატორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე<sup>1</sup>" ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ განსახილველ ნაწილში დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ამავე კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი - გადაწყვეტილების დასაბუთება განსახილველ ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაშვებულ, ანუ მისთვის დაბრუნებულ ნაწილში მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ამ ნაწილში საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი/მ "ვ. თ-ანს" აღუდგა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის -სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი, მიხედვით დარიცხული დღგ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი/მ "ვ. თ-ანს" აღუდგა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის -სერია აა-99, #191155, თანხით -2666,67 ლარი, მიხედვით დარიცხული დღგ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. ამ ნაწილში სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს ამავე ნაწილში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნაწილობრივი დასაშვებობა

### განჩინება

#ბს-781-745(23-09)

16 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე,  
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. გ-იანის საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძველების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 4 სექტემბერს და 18 დეკემბერს გ. გ-იანმა, სასარჩელო და დაზუსტებული სასარჩელო განცხადებებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2003 წლის 5 მაისამდე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული მიმართულება "... " მეთაურის მოადგილედ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ 1998 წლიდან წარმოექმნა სახელფასო და სხვა სახის ფულადი დავალიანებები.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2008 წლის 16 ივლისს #3-2562 განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, თუმცა 2008 წლის 18 აგვისტოს მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2008 წლის 1 აგვისტოს #8/4238 წერილი, რომლითაც უარი ეთქვა მის მოთხოვნაზე, თან ამ წერილში გამოტოვებული იყო გარკვეული თანხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის სახელფასო დავალიანების -8603,36 ლარის, კუთვნილი დავალიანებების დროული აუნაზღაურებლობით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, 2000 წლიდან საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის გადახდის და საადვოკატო მომსახურების სახით გაწეული ხარჯის -500 ლარის ანაზღაურების დავალბა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელე გ. გ-იანის სასარგებლოდ დარიცხული სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის გადახდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა გ. გ-იანის კუთვნილი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემა; დანარჩენ ნაწილში მოსარჩელე გ. გ-იანს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-იანმა, რომელმაც გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით გ. გ-იანის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა აგრეთვე გ. გ-იანმაც, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის და 10 ივნისის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და გ. გ-იანის საკასაციო საჩივრები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-იანის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი გ. გ-იანისათვის სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ საფუძვლებს, როგორცაა: ა. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. გ-იანის საკასაციო საჩივარი, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი გ. გ-იანისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

კასატორები -გ. გ-იანი საკასაციო საჩივარში, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ ნაწილში ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. გ. გ-იანის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასახელებულ ნაწილში არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, ამ ნაწილებში, არ ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას. გ. გ-იანი საკასაციო საჩივარში და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამ ნაწილში ვერ აქარწყლებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

გარდა ამისა, გ. გ-იანის საკასაციო საჩივრის, ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასახელებულ ნაწილში განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გ. გ-იანისათვის ანაზღაურების ნაწილში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მიჩნეულ უნდა იქნეს დასაშვებად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ნაწილში არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი, ვინაიდან საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების ნაწილში განსახილველად უნდა იქნეს დაშვებული და განხილულ იქნეს 2009 წლის 22 ოქტომბერს, მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## და ა დ გ ი ნ ა :

1. გ. გ-იანის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი გ. გ-იანისათვის სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-იანის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -3652,40 ლარის ანაზღაურება დაეკისრა;

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გ. გ-იანისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დასაშვებად;

4. მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა დაშვებულ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში საქმე განხილულ იქნეს 2009 წლის 22 ოქტომბერს, მხარეთა დასწრების გარეშე;

5. მოწინააღმდეგე მხარე გ. გ-იანს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარზე დაშვებულ ნაწილში წერილობითი პასუხის გასაცემად მიეცეს 10 დღის ვადა ამ განჩინების ჩაბარებიდან;

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნაწილობრივი დასაშვებობა

### განჩინება

#ბს-1039-997(23-09)

15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე,**

**ლ. მურუსიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა მ. გ-ძის, მუ. გ-ძის, თ. კ-ნის, რ. ვ-შვილის, დ. ა-ძის, ი. ა-ნის, მ. უ-ვას, ჯ. ჯ-ძის, შ. გ-ძისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძველების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 ივნისს დ. ა-ძემ, რ. ვ-შვილმა, მ. უ-ვამ, შ. გ-ძემ, თ. კ-ნმა, ა. ა-ძემ და ე. ტ-კომ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების, სანივთე ქონების კომპენსაციის, ზიანისა და საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

2007 წლის 10 დეკემბერს კ. ი-ძემ, ნ. ფ-ოვამ, მ. კ-შვილმა, ჯ. გ-ძემ, ვ. ი-ძემ, ი. ა-ნმა, ც. გ-ძემ, ა. ტ-კომ, ო. ჩ-შვილმა, ნ. ჯ-იამ, გ. ყ-შვილმა, ნ. დ-ძემ, ა. ხ-ამ, ნ. მ-ძემ, ე. ჯ-ძემ, ვ. წ-ძემ, ნ. კ-ძემ, ნ. წ-ძემ, ლ. ს-შვილმა, ლ. ე-ძემ, ა. ლ-ძემ, მ. გ-ძემ, ლ. ჩ-ძემ, ნ. უ-ვამ, ს. ჯ-ძემ, ნ. მ-შვილმა, მ. კ-შვილმა, ჯ. ჯ-ძემ, მ. გ-ძემ, ო. ბ-ძემ, ზ. ქ-ძემ, მ. ნ-ძემ, შ. დ-ძემ, ლ. ხ-ძემ, ს. გ-ძემ, ჯ. კ-ვამ, ი. შ-ძემ, მუ. მ-ძემ და დ. გ-ძემაც მიმართეს სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და სახელფასო დავალიანების, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების, სანივთე ქონების კომპენსაციის, ზიანისა და საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა დ. გ-ძის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე, შესაბამისად დ. გ-ძის სარჩელი განუხილველი დარჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 მაისის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საქმე #3/2082 და #3/3459 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა #3/3459-07.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელეთა წარმომადგენელმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებისა და საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით მ. კ-შვილის, ი. ა-ნის, ნ. მ-შვილის, ს. ჯ-ძის, ნ. უ-ვას, ლ. ჩ-ძის, ჯ. ჯ-ძის, ზ. ქ-ძის, მ. გ-ძის, მ. გ-ძის, ა. ღ-ძის, ლ. ე-ძის, ლ. ს-შვილის, ნ. წ-ძის, ნ. კ-ძის, ვ. წ-ძის, ე. ჯ-ძის, ნ. მ-ძის, ა. ხ-ას, ნ. დ-ძის, გ. ყ-შვილის, ნ. ჯ-იას, ო. ჩ-შვილის, ა. ტ-კოს, ც. გ-ძის, ვ. ი-ძის, ჯ. გ-ძის, მ. კ-შვილის, ოლეგ ბ-ძის, ნ. ფ-ოვას, კ. იოზაძის, მ. ნ-ძის, შ. დ-ძის, ლ. ხ-ძის, ს. გ-ძის, ჯ. კ-ვას, ი. შ-ძის, მუ. გ-ძის, ა. ა-ძის, მ. უ-ვას, თ. კ-ნის, შ. გ-ძის, რ. ვ-შვილის, დ. ა-ძის, ე. ტ-კოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სამხედრო სანატორიუმ "წყალტუბოს" თანამშრომელთა მიმართ დაეკისრა სახელფასო დავალიანებების ანაზღაურება: ა. ა-ძის სასარგებლოდ 891,57 ლარის, მ. უ-ვას სასარგებლოდ 1385,25 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით 615 ლარის, თ. კ-ნის სასარგებლოდ 206,94 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით 604 ლარის, შ. გ-ძის სასარგებლოდ 423,03 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით 1200 ლარის, რ. ვ-შვილის სასარგებლოდ -1364,44 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით 610 ლარის, დ. ა-ძის სასარგებლოდ -1517,06 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით 610 ლარის, ე. ტ-კოს სასარგებლოდ -580,42 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -776,89 ლარის, ი. ა-ნის სასარგებლოდ -1528,43 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -615 ლარის, ნ. მ-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -208 ლარის, ს. ჯ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -169 ლარის, ნ. უ-ვას სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -162,50 ლარის, ლ. ჩ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -195 ლარის, ზ. ქ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -149,50 ლარის, ნ. ფ-ოვას მიმართ -503,88 ლარის, მ. გ-ძის მიმართ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -156 ლარის, ჯ. ჯ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -1172,92 ლარის, ა. ღ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -195 ლარის, ლ. ე-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -149,50 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -162,50 ლარის, ნ. წ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -149,50 ლარის, ნ. კ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -150 ლარის, ვ. წ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -149,50 ლარის, ე. ჯ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -156 ლარის, ნ. მ-ძის სასარგებლოდ -768,30 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -156 ლარის, ა. ხ-ას სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -195 ლარის, ნ. დ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -162,50 ლარის, გ. ყ-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -149,50 ლარის, ნ. ჯ-იას სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -156 ლარის, ო. ჩ-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -156 ლარის, ა. ტ-კოს სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -156,25 ლარის, ც. გ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -156 ლარის, ვ. ი-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -234 ლარის, ჯ. გ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -195 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -169 ლარის, ო. ბ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების სახით -162,50 ლარის, კ. იოზაძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -991,31 ლარის, მ. ნ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -876,50 ლარის, შ. დ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -555,93 ლარის, ლ. ხ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -891,88 ლარის, ს. გ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების 818,48 ლარის, ჯ. კ-ვას სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -904,44 ლარის, ი. შ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -629,52 ლარის, მუ. გ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების -115,49 ლარის, მ. გ-ძის სასარგებლოდ -287,47 ლარის ანაზღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა თ. კ-ნის, დ. ა-ძის, მ. უ-ვას, შ. გ-ძის, რ. ვ-



სახელფასო დავალიანების 540,27 ლარის მის სასარგებლოდ მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა შ. დ-ძის სარჩელი 555,93 ლარის სახელფასო დავალიანების მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. დ-ძის სარჩელი სახელფასო დავალიანების -442,88 ლარის მის სასარგებლოდ მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტების -შ. გ-ძის, ჯ. ჯ-ძის, მ. უ-ვას, ი. ა-ნის, დ. ა-ძის, რ. ვ-შვილის და თ. კ-ნის სააპელაციო საჩივრები, რომლითაც ისინი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდნენ სანივთე ქონების კომპენსაციის სრულად ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მკაფიოდ განიმარტა, რომ სანივთე ქონების კომპენსაციის თანხა არ წარმოადგენდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და იგი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელი იყო, რომელზეც ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მან არ დააკმაყოფილა მუ. გ-ძის და მ. გ-ძის სარჩელები ფულადი ჯილდოს ანაზღაურების შესახებ უკანონოდ მიიჩნია და განმარტა, რომ იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული დავალიანებები წარმოშობილი იყო 1998-1999 წლებში, საქალაქო სასამართლოს სარჩელი ამ ნაწილში ხანდაზმულად არ უნდა მიეჩნია, რადგან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლისა და "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ფულადი ჯილდო წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებულ დანამატს, რომელიც თანამდებობრივ სარგოსთან ერთად შეადგენდა ხელფასის შინაარსს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნები სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ხანდაზმული არ იყო, შესაბამისად, მას არც ფულადი ჯილდოს შესახებ მოთხოვნები უნდა მიეჩნია ხანდაზმულად.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მუ. გ-ძის და მ. გ-ძის სასარჩელო მოთხოვნები კვების ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ, რადგან იგი არ წარმოადგენდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს და ის ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელი იყო, რომელზეც ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2009 წლის 25 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე აპელანტების წარმომადგენელმა განაცხადა სასარჩელო მოთხოვნების შემცირების შესახებ, კერძოდ: მ. უ-ვასთან, ი. ა-ნთან და რ. ვ-შვილთან მიმართებაში სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებით, რადგან ანალოგიური მოთხოვნებით მათ სარჩელი უკვე აღძრული ჰქონდათ და ამის შესახებ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ უნდა გაუქმებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. უ-ვას სასარჩელო მოთხოვნა 1385,25 ლარის, ი. ა-ნის სასარჩელო მოთხოვნა 1528,43 ლარის და რ. ვ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა 1364,44 ლარის სახელფასო დავალიანებების მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე დაკისრების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოთხოვნათა ნაწილობრივ დუბლირებას, აპელანტების წარმომადგენელმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნები ზოგიერთი მოსარჩელის ნაწილში და მოითხოვა: ლ. ხ-ძის სარჩელის სახელფასო დავალიანების -695,16 ლარის; ჯ. კ-ვას სარჩელის სახელფასო დავალიანების -592,60 ლარის; ი. შ-ძის სარჩელის სახელფასო დავალიანების -461,34 ლარის; ს. გ-ძის სარჩელის სახელფასო დავალიანების -540,27 ლარის; შ. დ-ძის სარჩელის სახელფასო დავალიანების -442,88 ლარის ოდენობით მის სასარგებლოდ მოპასუხე -საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი დაკისრება.



სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი (შემცირებული) სასარჩელო მოთხოვნები სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანი იყო და შესაბამისად, ისინი უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამავე დროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა ყოფილიყო დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელეთა მოთხოვნა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ნთავობაზე. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძვლად აპელანტმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 12 დეკემბრის #640 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ბრძანებულებას დაემატა 61<sup>1</sup> მუხლი, რომელმაც 2006 წლის 1 იანვრამდე შეაჩერა 33<sup>1</sup> მუხლის მოქმედება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ არასწორად განმარტა ხსენებული ბრძანებულება, რადგან ნორმის მოქმედების შეჩერება უფლების დაკარგვის საფუძველს არ ქმნიდა. სამართლებრივი ნორმის მოქმედების შეჩერება არ ნიშნავდა ნორმით აღიარებული უფლების გაუქმებას. ნორმის შეჩერებით სახელმწიფომ აღიარა მოსარჩელეთა უფლება, მიეღოთ ფულადი დახმარება და ამავე დროს, ნორმის შეჩერებით მხოლოდ დროებით გადავადდა აღიარებული უფლების რეალიზაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება მათი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. გ-ძემ, მუ. გ-ძემ, თ. კ-ნმა, რ. ვ-შვილმა, დ. ა-ძემ, ი. ა-ნმა, მ. უ-ვამ, ჯ. ჯ-ძემ და შ. გ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრეს. კასატორებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასაჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისისა და 7 აგვისტოს განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. გ-ძის, მუ. გ-ძის, თ. კ-ნის, რ. ვ-შვილის, დ. ა-ძის, ი. ა-ნის, მ. უ-ვას, ჯ. ჯ-ძის, შ. გ-ძისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ძის, მუ. გ-ძის, თ. კ-ნის, რ. ვ-შვილის, დ. ა-ძის, ი. ა-ნის, მ. უ-ვას, ჯ. ჯ-ძისა და შ. გ-ძის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მოსარჩელებისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების ნაწილში არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები ზემოხსენებულ ნაწილში არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რაც არსებითად იმოქმედებდა საქმის განხილვის შედეგზე და განაპირობებდა ამავე ნაწილში არასწორი გადაწყვეტილების მიღებას. კასატორები საკასაციო სა-

ჩივრებში ხსენებულ ნაწილში ვერ აქარწყლებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო საჩივარი დასახელებულ ნაწილში არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას.

ამასთან, საკასაციო საჩივრების ამავე ნაწილში განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დამხარების თანხის მოსარჩელებისათვის -მ. უ-ვას სასარგებლოდ 615 ლარის, თ. კ-ნის სასარგებლოდ 604 ლარის, შ. გ-მის სასარგებლოდ 1200 ლარის, რ. ვ-შვილის სასარგებლოდ 610 ლარის, დ. ა-მის სასარგებლოდ 610 ლარის, ი. ა-ნის სასარგებლოდ 615 ლარის, ნ. მ-შვილის სასარგებლოდ 208 ლარის, ს. ჯ-მის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. უ-ვას სასარგებლოდ 162,50 ლარის, ლ. ჩ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, ზ. ქ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, მ. გ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ჯ. ჯ-მის სასარგებლოდ 1172,92 ლარის, ანჟელოს დ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, ლ. ე-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ 162,50 ლარის, ნ. წ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. კ-მის სასარგებლოდ 150 ლარის, ვ. წ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ე. ჯ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ნ. მ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ხ-ას სასარგებლოდ 195 ლარის, ნ. დ-მის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. ყ-შვილის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. ჯ-ის სასარგებლოდ 156 ლარის, ო. ჩ-შვილის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ტ-კოს სასარგებლოდ 156,25 ლარის, ც. გ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ვ. ი-მის სასარგებლოდ 234 ლარის, ჯ. გ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ 169 ლარის, ო. ბ-მის სასარგებლოდ 162,50 ლარის ანაზღაურების ნაწილში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მიჩნეულ უნდა იქნეს დასაშვებად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ნაწილში არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დამხარების თანხის მოსარჩელებისათვის -მ. უ-ვას სასარგებლოდ 615 ლარის, თ. კ-ნის სასარგებლოდ 604 ლარის, შ. გ-მის სასარგებლოდ 1200 ლარის, რ. ვ-შვილის სასარგებლოდ 610 ლარის, დ. ა-მის სასარგებლოდ 610 ლარის, ი. ა-ნის სასარგებლოდ 615 ლარის, ნ. მ-შვილის სასარგებლოდ 208 ლარის, ს. ჯ-მის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. უ-ვას სასარგებლოდ 162,50 ლარის, ლ. ჩ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, ზ. ქ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, მ. გ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ჯ. ჯ-მის სასარგებლოდ 1172,92 ლარის, ა. დ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, ლ. ე-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ 162,50 ლარის, ნ. წ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. კ-მის სასარგებლოდ 150 ლარის, ვ. წ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ე. ჯ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ნ. მ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ხ-ას სასარგებლოდ 195 ლარის, ნ. დ-მის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. ყ-შვილის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. ჯ-ის სასარგებლოდ 156 ლარის, ო. ჩ-შვილის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ტ-კოს სასარგებლოდ 156,25 ლარის, ც. გ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ვ. ი-მის სასარგებლოდ 234 ლარის, ჯ. გ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ 169 ლარის, ო. ბ-მის სასარგებლოდ 162,50 ლარის ანაზღაურების ნაწილში განსახილველად უნდა იქნეს დაშვებული და განხილულ იქნეს მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. გ-მის, მუ. გ-მის, თ. კ-ნის, რ. ვ-შვილის, დ. ა-მის, ი. ა-ნის, მ. უ-ვას, ჯ. ჯ-მის, შ. გ-მის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მოსარჩლეებისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება მოსარჩლეებისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და 2004 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების ნაწილში;

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის მოსარჩლეებისათვის -მ. უ-ვას სასარგებლოდ 615 ლარის, თ. კ-ნის სასარგებლოდ 604 ლარის, შ. გ-მის სასარგებლოდ 1200 ლარის, რ. ვ-შვილის სასარგებლოდ 610 ლარის, დ. ა-მის სასარგებლოდ 610 ლარის, ი. ა-ნის სასარგებლოდ 615 ლარის, ნ. მ-შვილის სასარგებლოდ 208 ლარის, ს. ჯ-მის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. უ-ვას სასარგებლოდ 162,50 ლარის, ლ. ჩ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, ზ. ქ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, მ. გ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ჯ. ჯ-მის სასარგებლოდ 1172,92 ლარის, ა. დ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, ლ. ე-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ლ. ს-შვილის სასარგებლოდ 162,50 ლარის, ნ. წ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. კ-მის სასარგებლოდ 150 ლარის, ვ. წ-მის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ე. ჯ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ნ. მ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ხ-ას სასარგებლოდ 195 ლარის, ნ. დ-მის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. ყ-შვილის სასარგებლოდ 149,50 ლარის, ნ. ჯ-იას სასარგებლოდ 156 ლარის, ო. ჩ-შვილის სასარგებლოდ 156 ლარის, ა. ტ-კოს სასარგებლოდ 156,25 ლარის, ც. გ-მის სასარგებლოდ 156 ლარის, ვ. ი-მის სასარგებლოდ 234 ლარის, ჯ. გ-მის სასარგებლოდ 195 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ 169 ლარის, ო. ბ-მის სასარგებლოდ 162,50 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნეს დასაშვებლად;

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში განხილულ იქნეს მხარეთა დასწრების გარეშე;

5. მოწინააღმდეგე მხარეებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარზე დაშვებულ ნაწილში წერილობითი პასუხის გასაცემად მიეცეთ 10 დღის ვადა ამ განჩინების ჩაბარებიდან;

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.